პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 81 (9857) | კვირა, 4 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — სასკოლო პარტიული ორგანიზაციები (მე-2 გვერდი).
საბჭოთა ქვეყანაში. — გარდაქმნილი მხარე (მე-2 გვერდი).
სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები (მე-2 გვერდი).
ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის (მე-2 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
ვარლამ ჟურული. — სოფლის სუნთქვა (მე-3 გვერდი).
ა. კუსრაშვილი. — გენოციდი ამერიკაში (მე-3 გვერდი).
უიდეო პიესა და გულმავიწყი რეჟისორი (მე-3 გვერდი).
სოციალისტური ეკონომიკის მარწმუნებელი (მე-3 გვერდი).
ტურება. უცხოეთის პრესა ფასების ახალ შემცირებას ეხება საბჭოთა კავშირში (მე-4 გვერდი).
ამერიკის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვისა კრახს განიცდის (მე-4 გვერდი).
გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობა (მე-4 გვერდი).

საბჭოების მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე

ბრძოლა კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც დასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ, განუწყვეტელი ზრუნვა ჩვენი ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის — აი უმთავრესი ამოცანა, რომელიც პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მთელი სერიოზულობით დგას საბჭოთა ორგანოების წინაშე.

უდიდესი ამოცანები დასახეს მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა, რომლებმაც როგორც პარტიული, ისევე საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესება.

მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, საკითხის სწორი გადაწყვეტა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზატორულ მუშაობაზე — ასე გვასწავლის მშობლიური კომუნისტური პარტია.

არაერთი ფაქტით არის დადასტურებული, რომ კოლმეურნეობებისა და რაიონების ჩამორჩენის მიზეზი უმთავრესად სოფლად ცუდი ორგანიზაციული მუშაობაა.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანებში მიღებულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა შესაბამისად განხორციელებული რეორგანიზაცია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურისა უფრო მეტად ამაღლებს ადგილობრივი საბჭოების როლს. ამ როლის შესრულება შეუძლებელია ისე, თუ კარგად არ იქნა დაყენებული ყოველდღიური ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა.

კადრების სწორად შერჩევა, შესრულების სისტემატური, კარგად დაყენებული შემოწმება, ძირეული რგოლის მუშაკების კონკრეტული და მაღალ დონეზე მოწყობილი ინსტრუქტირება, ადგილობრივი საბჭოებისა და მათი მუშაკებისათვის ქმედითი, პრაქტიკული დახმარების გაწევა ორგანიზაციული მუშაობის დედაარსია.

ახლა ადგილობრივი საბჭოების მთელი ორგანიზატორული მუშაობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ წარმატებით მოეწყოს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ხაშურის რაიონის გომის სასოფლო საბჭომ ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინა. მან თავის სესიაზე სპეციალურად განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის გომის, აგარებისა და სატივის კოლმეურნეობების მზადების საკითხი, მიიღო კარგი გადაწყვეტილება, რომლის შესრულებამ ხელი შეუწყო სათესლე მასალის, იარაღ-მანქანების, ახალი საბოსტნე და საკartოფილე ნაკვეთების დროზე მომზადებას და თესვის წარმატებით დაწყებას.

მაგრამ საბჭოების ორგანიზაციული მუშაობა ბევრგან სერიოზულად მოიკოჭლებს. პირველ რიგში ეს შეეხება სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკას. ირღვევა სესიების მოწვევის ვადები. მაგალითად, ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოული) რაისაბჭოს სესიათა შორის ოთხი თვე გავიდა. შარშან საგარეჯოს რაისაბჭოს სესია ექვსის ნაცვლად მხოლოდ სამჯერ შეიკრიბა. თელავის რაისაბჭოს სესიაზე იშვიათად განიხილავენ საკოლმეურნეო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, სესიის გადაწყვეტილებანი დიდი დაგვიანებით ეგზავნებათ სასოფლო საბჭოებს. სუსტად მუშაობენ თელავის რაისაბჭოს ადგილობრივი მრეწველობის, საგზაო მშენებლობისა და ვაჭრობის მუდმივი კომისიები. მათი საქმიანობა მხოლოდ გეგმების შედგენით არის ამოწურული. სესიაზე არ განიხილავენ მუდმივი კომისიების ანგარიშებს. დაბალ დონეზე ეწყობა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომები. აღმასკომის წევრებს წინასწარ არ ეგზავნებათ გადაწყვეტილებათა პროექტები განსახილველ საკითხებზე. სისტემატურად არ ეწყობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. მაგალითად, რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა ვარდისუბნის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ა. ყარაიულაშვილი) მუშაობის საკითხი, გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა — ეს გადაწყვეტილება სასოფლო საბჭოს არც კი განუხილავს და ამიტომ საკვირველი როდია, რომ ნაკლოვანებანი გამოსწორების ნაცვლად კიდევაც იზრდება.

ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციული მუშაობის დაყენებაში დახმარება სჭირდებათ, მაგრამ ხშირად ამ დახმარებას მოკლებული არიან. რაიონულ და სასოფლო საბჭოებს სუსტად ეხმარებიან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომი. მათი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებების ინსტრუქტორები იშვიათად მიდიან ადგილებზე, ხოლო როცა მიდიან, თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ რაისაბჭოებსა და სასოფლო საბჭოებს ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებაში, სჯერდებიან შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღნუსხვას, რაც მოხსენებითი ბარათების შესადგენად სჭირდებათ.

ადგილობრივი საბჭოებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს, უამისოდ ისინი წარმატებით ვერ გაართმევენ თავს ადგილებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სერიოზულ ამოცანას.

ახლა ადგილობრივი საბჭოების მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მიმართულ უნდა იქნას კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის შემდგომი აღმავლობისაკენ, მოსავლიანობის ამაღლების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების მნიშვნელოვანი საკითხების წარმატებით გადაწყვეტისაკენ.

ადგილობრივ საბჭოებს მოეთხოვებათ სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, იმ დიდ შრომითს აღმავლობას, რაც გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური აქტივობით, შრომითი ენთუზიაზმით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში გაძლიერდა საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. ეს მუშაობა შემდგომში კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს, საბჭოთა აპარატის მუშაობა ახალ მაღალ საფეხურზე უნდა იქნას აყვანილი, შემდგომ განმტკიცდეს მისი კავშირი მასებთან.

ადგილობრივი საბჭოები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მათ წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს წარმატებით გადაწყვეტენ მხოლოდ მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებით.

სსრ კავშირის ორდენები გადაეცათ ხელმძღვანელ მუშაკებს

ამა წლის 29 მარტს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა სსრ კავშირის ორდენები გადასცა ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფს.

დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებასთან დაკავშირებით მთავრობის უმაღლესი ჯილდოები — ლენინის ორდენი გადაეცათ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. ნ. კოსიგინს; სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრს ა. ნ. კუზმინს; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამშენებლო საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს კ. მ. სოკოლოვს; სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილეს ს. ა. სტეპანოვს; სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილეს დ. ი. რაიზერს; საბჭოთა მანქანათმშენებლობის ხელმძღვანელ მუშაკებს გ. ს. ხლამოვს, ი. ე. მაქსარევს.

შრომის წითელი დროშის ორდენი დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებასთან დაკავშირებით გადაეცათ: სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს დ. ს. ბუზინს; სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილეს ს. ი. ფომინს; სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს პ. ს. კუჩუმოვს; სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ა. ა. პოსკრონოვს; სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს ა. ი. სმირნოვს, აგრეთვე რუსეთის სფსრ განათლების მინისტრს და რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ი. ა. კაიროვს დაბადების სამოც წლისთავთან და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სახალხო განათლების დარგში დამსახურებასთან დაკავშირებით.

დაჯილდოებულთა სახელით ამხ. ი. ა. კაიროვმა დიდი მადლობა გადაუხადა ხალხს, პარტიას და მთავრობას ჯილდოების მიღებისათვის.

ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა გულთბილად მიესალმა დაჯილდოებულთ და უსურვა ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატება მუშაობაში.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

კლინიკური ქალაქი მოსკოვში

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აშენოს მოსკოვში კლინიკური ქალაქი. დასახულია აშენდეს მრავალსართულიანი შენობები. შენობებში მოთავსდება მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი სამედიცინო ინსტიტუტები, კლინიკები, ლაბორატორიები, სამეცნიერო კაბინეტები, რომლებიც მოწყობილი იქნება უახლესი აპარატურით.

ცენტრალურ კორპუსში მოთავსებული იქნება პოლიკლინიკა, ქსენონი, აფთიაქი, კონფერენცდარბაზი, მედიცინის დების სკოლა და სხვა დაწესებულებანი. ქალაქის ყველა სხვა შენობას ცენტრალური კორპუსი დაუკავშირდება მიწისქვეშა გვირაბებით.

გარდა კლინიკური კორპუსებისა, აქ აშენდება აგრეთვე საცხოვრებელი სახლები და კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა მთელი რიგი შენობები.

კლინიკური ქალაქის მშენებლობისთვის გამოყოფილია 40 ჰექტარი ფართობი. მარტო კლინიკის შენობების მოცულობა დაახლოებით მილიონი კუბური მეტრი იქნება. (საკდესი).

150 სახლი მენავთობეთათვის

ბაქო. (საკდესი). ქალაქი ახალშენებათა ხარაჩოებშია. ყველგან აღმართულია კოშკურამწეთა ისრები. ბაქოს ცენტრში — ფიზიულის ქუჩაზე მიმდინარეობს ათსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ტრესტ „სტალინნეფტის“ მენავთობეთათვის. დიდი მრავალსართულიანი სახლები შენდება კასპიის ნავთობფლოტის მეზღვაურებისა და ნავთობის სხვადასხვა ტრესტის მუშაკებისათვის.

წელს მნიშვნელოვნად ფართოვდება მუშათა დაბების მშენებლობა. ჟილმოისა და არტემის კუნძულებზე, აგრეთვე დაბა „ნავთობის ქვებში“ აშენდება სახლები, რომელთა საერთო საცხოვრებელი ფართობი 8 ათას კვადრატულ მეტრს დაადამეტებს.

წელს ბაქოს მენავთობეთათვის განზრახულია აშენდეს სულ 150-მდე საცხოვრებელი სახლი.

ტანისამოსი გაზაფხულისა და ზაფხულისათვის

ლენინგრადი. (საკდესი). ვოლოდარსკის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ნაწარმის მეტი წილი შეკერილია მაღალხარისხოვანი ქსოვილების — კოვერკოტის, ბოსტონის, გაბარდინის, დრაფისა და სხვა სორტის ქსოვილებისაგან. ახლა საამქროებში იკერება ტანისამოსი გაზაფხულისა და ზაფხულისათვის. ეს არის მამაკაცის ღია ფერის ქსოვილების ლამაზი კოსტიუმები, თავისუფალი ცალბორტიანი საზაფხულო პალტოები, სპორტული ტიპის კოსტიუმები მოზარდებისათვის და 39 ფასონის სხვა ნაწარმი. წელს გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის საწარმომ ათთვისა 17 ახალი მოდელის ტანისამოსი.

საწარმომ წლის დამდეგიდან გაგზავნა მაღაზიებში 9 ათასი ნაწარმით მეტი, ვიდრე შარშან იმავე ხანში.

ახალი გაღეგი

მახაჩკალა. (საკდესი). დაღისტნის მეგაღეებმა გაზაფხულის სამუშაოები დაიწყეს. ამ გაზაფხულზე დაღისტნის კოლმეურნეობებში 850 ჰექტარი ახალი ბაღები გაშენდება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეცნიერებათან ერთად შეიმუშავა მეგაღეობის განვითარების პერსპექტივული გეგმა, სადაც გათვალისწინებულია თვითეული რაიონისა და კოლმეურნეობის ნიადაგისა და ჰავის თავისებურებანი. დიდდება მსხლის, კომშის, ბლის, ატმის ნარგავები. ჯიშები ისეა შერჩეული, რომ შეუფერხებელად ზიაწოდონ ქარხნებს ნედლეული, აგრეთვე ახალი ხილი შეზიდონ სამრეწველო ცენტრებში.

★ ★

მრეწველობა — სოფლის მეურნეობას

ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები ადიდებენ სოფლის მეურნეობისათვის პროდუქციის გამოშვებას, აფართოებენ კოლმეურნეობებისადმი საშეფო დახმარებას.

ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადების პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შეასრულა ტაგანროგის ქარხანა „კრასნი კოტელშჩიკმა“. ხარატები ანტოშკინი და პოგორელოვი ტრაქტორის თვლების მორკვების დამუშავებაზე ხმარობენ სახელგანთქმული ნოვატორის ვასილ კოლესოვის მეთოდით დამზადებულ საჭრისებს. ცვლის ნორმებს ორივე რეგულარულად ერთისამად-ერთიოთხად ასრულებს. საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა პირველი მაისისათვის ოთხი თვის გეგმის დამატებით გამოუშვას ტრაქტორის ორასამდე თვალი და ათასი მორგვი.

ყოველდღე დონის როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნიდან ახალი მიწების ათვისების რაიონებში — ალტაისა და ყაზახეთში იგზავნება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით დატვირთული ეშელონები. ქარხანამ უკვე გაგზავნა ასობით კომბაინი, 800-ზე მეტი თვითმავალი სათობი მანქანა, 400-მდე ღრეჩად სახნავი გუთანი. ამ გუთნებს აქვთ ხუთ-ხუთი დისკოსებრი საკვეთი, ნიადაგის გამალრმავებლები. გუთნების საამქრო ყოველდღე გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს.

კაუნასის მოტორსარემონტო ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელ ორ თვეში დაამზადა და მტს-ებს გაუგზავნა ტრაქტორების ათასობით სათადარიგო ნაწილი, 29 ვერტიკალურად საბურღი ჩარხი, ასობით ვულკანიზაციური აპარატების დეტალი. შეკეთებულია გაცილებით მეტი ძრავა, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე მტს-ები მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ათეულათასობით დეტალს. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა ყველა ძირითადი სახეობის პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა.

სტალინგრადის პეტროვის სახელობის მძიმე ნავთობმოწყობილობის ქარხანამ ვადაზე შვიდი დღით ადრე დაამთავრა მეცხოველეობის ფერმებისათვის 150 კილული გზის გამოშვება. თვითეული გზის თვითდირებულება მნიშვნელოვნად ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე.

ლატვიელი რკინიგზელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ყამირი და ნახვნი მიწების ათვისების რაიონებში ტვირთების ვადამდე მიტანაში. რიგის სარკინიგზო კვანძის ტორმიაკალნის სადგურიდან ალტაის მხარეში მარტის დამდეგიდან გაიგზავნა „ვს—2“ მარკის სანიავებელდამხარისხებელი მანქანები, დახაშლელი სასილოსე კოშკებით და ფარცხების კომპლექტებით დატვირთული 200-ზე მეტი ვაგონი. იმ შემადგენლობათა მმართველად ნაწილს, რომლებიც ყაზახეთისა და ალტაის რაიონებში იგზავნება, აქ ჩქარსნული მეთოდებით აფორმებენ. მანგალის სადგურის მუშაკებმა ერთი თვის განმავლობაში ჩქარსნული წესით შეადგინეს და გაგზავნეს მინერალური სასუქებით დატვირთული 11 მარშრუტი.

მოსკოვის ოლქის სტალინოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „ობედინენიემ“ სასუქად უნდა დაამზადოს 4 ათასი ტონა ტორფი. კოლმეურნეებს დაეხმარნენ შეფები — „მოსკვოუგოლის“ კომბინატის კოლექტივი. ამჟამად ტორფის ამოღებისა და გადაზიდვის მთელი პროცესი მექანიზებულია. მარტო 22 მარტს დაამზადეს და მინდვრად გაიტანეს 600 ტონაზე მეტი ტორფი. (საკდესი).

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის

31 მარტს ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ა. დ. პოპოვის თავმჯდომარეობით გაიმართა კომიტეტის პლენუმის სხდომა. პლენუმმა მოისმინა და განიხილა ტ. ნ. ხრენიკოვის მოხსენება იმ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია სტალინური პრემიების მოსაპოვებლად მუსიკისა და საკონცერტო შესრულებითი მოღვაწეობის დარგში. მოსმენილ იქნა მთელი რიგი წარმოდგენილი ნაწარმოებნი. (საკდესი).

სრულიად რუსეთის სოფლის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების საბოლოო კონცერტის მონაწილეთა შეხვედრა მოსკოვის ხელოვნების ოსტატებთან კრემლში

2 აპრილს კრემლში გაიმართა საღამო, მიძღვნილი სრულიად რუსეთის სოფლის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების დამთავრებისადმი. დათვალიერების მონაწილენი შეხვდნენ მოსკოვის ხელოვნების ოსტატებს.

კრემლის დიდ სასახლეში ნაშუადღევს შეიკრიბა ათას ხუთასზე მეტი კოლმეურნე, მტს-ების მუშა და მოსამსახურე, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელი. გრიალებდა ორკესტრები, გაისმოდა სიმღერები რუსეთის სფსრ ხალხთა სხვადასხვა ენაზე. მოეწყო მასობრივი თამაშობანი. ბევრი სტუმარი ეცნობოდა კრემლის ღირსშესანიშნაობებს.

საღამოს 7 საათზე ყველა შეიკრიბა გიორგის დარბაზში.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროს სახელით შეკრებილებს მხურვალედ მიესალმა რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ტ. მ. ზუევა. მან აღნიშნა, რომ სრულიად რუსეთის სოფლის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებამ ცხადყო საბჭოთა სოფლის კულტურის აყვავება, და ყველა დამსწრეს უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი.

შემდეგ გაიმართა დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა არმიის ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანმა ანსამბლმა, ცნობილმა მომღერლებმა ი. კოზლოვსკიმ, ა. ივანოვმა, ვ. დავიდოვამ, ვ. ბუნჩიკოვმა, ბალერინა ო. ლეპეშინსკაიამ, ვიოლონისტმა ი. ოისტრახმა და მოსკოვის თეატრების, ესტრადისა და ფილარმონიის სხვა ოსტატებმა. (საკდესი).

ბოსტნეული მეტალურგებისათვის

უსტ-კამენოგორსკი. (საკდესი). უსტ-კამენოგორსკის თუთიის ქარხნის დამხმარე მეურნეობის სათბურებმა პირველი პროდუქცია მისცეს სასადილოებს. აპრილში მეტალურგები მიიღებენ დაახლოებით ხუთი ათას კილოგრამ ახალ ბოსტნეულს.

მეურნეობის კოლექტივი, რომელსაც აგრონომი მ. სეტჩენკო ხელმძღვანელობს, წარმატებით იბრძვის სათბურების ფართობის საუკეთესოდ გამოყენებისათვის. წლის ბოლომდე სათბურის მეურნეობა ყველაზე დიდი გახდება აღმოსავლეთ ყაზახეთში. სათბურში ბოსტნეულს მთელი წლის განმავლობაში მოიყვანენ.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

მაღაროელთა ავანგარდში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის გამაუჯავებელი ფაბრიკის მუშები, ოსტატები, ინჟინერ-ტექნიკოსები ჩაებნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს ოთხი თვის გეგმა შეასრულონ 25 აპრილისათვის, გადიდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, აამაღლონ წარმოების კულტურა და მარგანეცის ხარისხი.

ფაბრიკის კოლექტივი თავდადებულად იბრძვის აღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის — მნიშვნელოვნად გაადიდა პროდუქციის გამოშვება, პირველი კვარტალი საწარმოო დავალება სამი დღით ადრე შეასრულა. წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ცვლის ოსტატებმა ლ. ბურჯანაძემ, პ. ბიწაძემ, ს. სკოროდუმოვსკიმ, თ. პოხომარენკომ, თ. სამხარაძემ, ე. კალანდაძემ, გ. გურულმა, და ა. კირკალიძემ, აგრეთვე ფაბრიკის წარჩინებულმა ადამიანებმა — დ. გოკაძემ, ზ. ბრეგაძემ, პ. მაისურაძემ, გ. კვიცინაძემ, ბ. იაკობიძემ, ვ. ზაქაშვილმა, შ. ქავთარაძემ, ვ. შეყილაძემ და პ. ღუღუნიშვილმა.

დაწინაურებული შახტი

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად ქვანახშირის მოპოვების კვარტალური გეგმა 25 მარტისათვის გაანაღდა. განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი საექსპლოატაციო უბანი, რომელიც ლია წესით აწარმოებს ქვანახშირის ამოღებას. უბანმა პირველი კვარტალის გეგმა 12 მარტისათვის გაანაღდა.

ქვანახშირის ამოღებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს მექანიკოვატორებმა გ. გეგიაშვილმა, პ. პონომარიოვმა, ს. სულტიევმა და მებულდოზერეებმა — ე. კანთელაძემ, ს. სუბელიანმა და ი. ივაშჩენკომ.

გათუმელ რკინიგზელთა ვალდებულებები

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმელმა მეორთქლმავლეებმა გადაწყვიტეს ახალი, საპირველმაისო საწარმოო საჩუქრებით გაახარონ დედა-სამშობლო. მათ იკისრეს აპრილში „ავადმყოფ“ ორთქლმავალთა რაოდენობა შეამცირონ 2 პროცენტით, გარეცხვითი შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვან ერთი ორთქლმავალი, შეაკეთებელი ორთქლმავლების დგომა შეამცირონ ერთი საათით, ხოლო ორთქლმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენა გაზარდონ 2 კილომეტრით და გაუთმჯობესონ მოძრავი შემადგენლობის საექსპლოატაციო მაჩვენებლები.

ბათუმელმა მეორთქლმავლეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს შორაპნისა და ქუთაისის მეორთქლმავლეები.

გადიდებულ საპირველმაისო საწარმოო ვალდებულებათა შესრულება იკისრა ბათუმის სავაგონო დეპოს კოლექტივმაც, სადაც შეჯიბრება გაჩაღდა ბრიგადებსა და საწარმოო უბნებს შორის.

ცნობილმა ელექტროშემდუღებელმა მ. კოლაძემ იკისრა პირველი მაისის შესახვედრად საწარმოო დავალება ყოველდღიურად 250-300 პროცენტით გაანაღდოს. მექვაბე მ. დარჩიამ თავისი ბრიგადის სახელით იკისრა აპრილში წლიური შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვას 3 სატვირთო ვაგონი. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ე. კუზიკინის და მ. ქურაძის ბრიგადებმა.

პროდუქცია გეგმის გადამეტებით

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივი, ჩაება რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დღითიდღე ადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

საწარმოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა. სამი თვის განმავლობაში მათ გამოუშვეს 700 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასულ წელს ამავე ხნის განმავლობაში.

ამ დღეებში მექანიკური საამქროს ბრიგადებმა, რომლებსაც გ. პირაღოვი, ვ. ლატარია და ი. ვოლოზოვი ხელმძღვანელობენ, დაამთავრეს ნახევარი წლის დავალების შესრულება.

მოწინავეებს ბაძავს წარმოების ყველა მუშაკი, ამჟამად ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ აპრილის გეგმა, 5 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და 2 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესაბამისად ქალაქ მოლოტოვთან მდინარე კამაზე შენდება ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური. რამდენიმე თვის შემდეგ კამის ჰიდროელექტროსადგური დენს მისცემს დასავლეთ ურალის სამრეწველო საწარმოებს. სადგურის ამუშავების მომენტისათვის ქალაქ მოლოტოვთან შეიქმნება უზარმაზარი წყალსაცავი — კამის ზღვა, რომელიც თითქმის 1.800 კვადრატულ კილომეტრს დაიკავებს. **სურათზე:** კამის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაშვები კაშხალის მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო ბ. ვიზულიასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

პარტიული ცხოვრება

სასკოლო პარტიული ორგანიზაციები

სკოლის მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ პარტიული ორგანიზაციები მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. ამ მხრივ აღსანიშნავია პარტიის სამტრედიის რაიკომის მუშაობის მაგალითი. რაიკომმა მასწავლებელთა შორის პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება სკოლებთან პარტიული ორგანიზაციების შექმნით, ხოლო შემდეგ მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით დაიწყო. ამჟამად რაიონს 20 საშუალო და 8-წლიან სკოლასთან — აგრეთვე 2 ტექნიკუმთან შექმნილია პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სერიოზულ როლს ასრულებენ ამ სასწავლებელთა ცხოვრებაში.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ქალაქის ქალთა და ვაჟთა, რუსული, ჯიხაიშის, რკინიგზის ქალთა და ვაჟთა, კულაშის საშუალო სკოლების, ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო და კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმების პარტიული ორგანიზაციები. აღნიშნული პირველადი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას წარმართავენ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, რაზმავენ მათ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილმა სკოლებმა და ტექნიკუმებმა წარმატებით დაამთავრეს მიმდინარე სასწავლო წლის პირველი ნახევარი. საგრძნობლად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი, წინა წლებთან შედარებით შემცირდა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დასახელებულ სასწავლებელთა პარტიულ ორგანიზაციებს.

პარტიის რაიკომი სერიოზულ ყურადღებას უთმობს სასკოლო პარტიულ ორგანიზაციებს, მათს მუშაობას წარმართავს სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად. სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მდივნების დასახმარებლად სისტემატურად მართავს სემინარებს, უწევს მათ ინსტრუქტაჟს. თითქმის ყველა მასწავლებელი მუშაობს საერთო განათლებისა და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. 45 მასწავლებელი პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს, ხოლო 475 მასწავლებელი პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ პოლიტსკოლებში, წრეებსა და სემინარებში იმაღლებს პოლიტიკური მომზადების დონეს. ამას გარდა 200-მდე მასწავლებელი დამოუკიდებლად სწავლების გზით ეუფლება კომუნისტური პარტიის ისტორიასა და თეორიას. პარტიის რაიკომმა უკანასკნელ პერიოდში მასწავლებელთათვის მოაწყო ლექციები შემდეგ თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მარქსიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტია“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 50 წელი“, „სოციალისტური სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების ამოცანები“ და სხვ. პედაგოგთა შორის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა მასწავლებელთა რაიონული სახლი. აქ მიმდინარე სასწავლო წლის განვლილ პერიოდში მასწავლებელთათვის წაკითხულ იქნა თეორიული, პოლიტიკური, საბუნებისმეტყველო ხასიათის 64 ლექცია.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად რაიონის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა დიდი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკმარისია ითქვას, რომ 369 მასწავლებელი აგიტატორად მუშაობს. ისინი დაუღალავად განუმარტავენ რაიონის მშრომელებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების დარგში მოპოვებულ წარმატებებს. 25 მასწავლებელი პარტიის რაიკომის პოლიტიკური მომხსენებელი და ლექტორია, ხოლო 104 პედაგოგი პოლიტსკოლებისა და წრეების პროპაგანდისტია და თავის მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ რაიონის ყველა სასკოლო პარტიული ორგანიზაცია კარგად მუშაობდეს მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. ამ მხრივ არის ნაკლოვანებებიც. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფელ ღანირის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ე. ოდილავაძე) შესახებ. აქ იმის შედეგად, რომ სასკოლო პარტიული ორგანიზაცია სრულიად უყურადღებოდ ეკიდებოდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს, სკოლის დირექტორი პ. გალდავა გაყოყოჩდა, მოსწავლეთა მიმართ უხეშ ადმინისტრირებას იჩენდა, კოლეგიალური დამოკიდებულება არ ჰქონდა მასწავლებლებთან, უფრო მეტიც, ეწეოდა თვალისახვევასა და მოტყუებას მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში, რისთვისაც პ. გალდავა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სათანადოდ დაისჯა. რაიონში არის სკოლები, სადაც დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა. არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ.

პარტიის სამტრედიის რაიკომი მოვალეა კიდევ უფრო გააძლიეროს მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების გზით მიაღწიოს სკოლის მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანის წარმატებით განხორციელებას.

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

★

გუთნები არა აქვთ, ტრაქტორები ცდება

თეთრი წყაროს მტს-ს მძლავრი სატრაქტორო პარკი აქვს. მისი წესიერი ტექნიკური გამოყენება სამუალებას იძლევა რაიონის პირობებში „დტ-54“ მარკის ტრაქტორმა დღეში 10 ჰექტარი მოხნას, ხოლო „ს-80“ მარკის ტრაქტორმა — 20 ჰექტარი. სეზონის განმავლობაში კი „დტ-54“ ტრაქტორმა მხოლოდ 700 ჰექტარი მოხნა, „ს-80“-მა — 1.600 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ გასულ წელს ზოგიერთი ტრაქტორი გუთნის უქონლობის გამო ხვნაში ვერ გამოიყენეს. მაგალითად ოთხი „დტ-54“ და ერთი „ს-80“ მარკის ტრაქტორი გუთნების უქონლობის გამო გამოუყენებელი იყო ხვნაზე.

მსგავსი მდგომარეობა წელსაც გრძელდება. ამ დღეებში მტს-მა 2 მძლავრი ტრაქტორი კიდევ მიიღო, მაგრამ გუთნებზე რატომღაც არ ეფიქრათ. ახლა კი მტს-ში 7 მძლავრ ტრაქტორს გუთნები არა აქვს.

ყოველივე ეს კარგად იციან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ რატომღაც ზომებს არ იღებენ.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



რუისის მტს-ის ტრაქტორისტი ვ. ღვინიაშვილი და მთესავი გ. კუთხაშვილი სოფელ რუისის (ქარელის რაიონი) კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხლის თესვაზე.

ფოტო ი. ტკაჩენკოსი.

შაქრის ჭარხლის თესვა დაიწყო

ქარელი. (საკ. კორ.). რაიონში შაქრის ჭარხლის თესვას პირველი შეუდგა რუისის მტს-ი, რომელმაც სოფელ რუისის და ურბნისის კოლმეურნეობას უკვე დაუთესა 25 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. ჭარხალი ითესება მზრალად მოხნულ ნიადაგზე. თესვის დროს ნიადაგში შეაქვთ ნორმით გათვალისწინებული მინერალური სასუქი.

თესვის პირველი დღეებიდან დაწინაურდა ტრაქტორისტი ვ. ღვინიაშვილი. მან სოფელ რუისის კოლმეურნეობის ფართობში მთესავ გ. კუთხაშვილთან ერთად ორ დღეში დათესა 14 ჰექტარი ჭარხალი.

ჭარხლის თესვას შეუდგა აგრეთვე ქარელის მტს-ი სოფელ ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობები ამზადებენ ნეშომპალის ქოთნებს

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობები წელს საგრძნობლად აფართოებენ ბოსტნეული კულტურების ნათესებს, იბრძვიან მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამ მიზნით მრავალ კოლმეურნეობაში ფართოდ ინერგება ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მოწინავე მეთოდები. მათ შორის აღსანიშნავია ჩითილის გამოყვანა ნეშომპალის ქოთნებში. ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე დაამზადეს 10 ათასზე მეტი ნეშომპალის ქოთანი. სტალინირის რაიონის სოფელ არგვეცის კოლმეურნეობამ ოთხი დღის განმავლობაში 6.000 ქოთანი დაამზადა.

კარგი ამინდის მოლოდინში

გაზაფხული ძალაში შევიდა. მაგრამ ეს მდგომარეობა სიფნაღის რაიონის ზოგიერთ მუშაკს ნაკლებად აფიქრებთ. ახლა, როდესაც საგაზაფხულო სამუშაოების დიდი ნაწილი დამთავრებული უნდა იყოს, რაიონში ამ სამუშაოებს კვლავ ზანტად, აუჩქარებლად ატარებენ. ამიტომ საკოლმეურნეო მინდვრებზე საგაზაფხულო ხვნა სანახევროდაც არ არის შესრულებული, ხოლო თესვა ზოგიერთ კოლმეურნეობას ჯერაც არ დაუწყია.

წნორის მტს-ში ტრაქტორების რემონტი, რომელიც 10 მარტისათვის მთლიანად უნდა დამთავრებულიყო, სათადარიგო ნაწილების დროულად მოუმარაგებლობისა და შრომის ცუდად მოწყობის შედეგად დღემდე გაჭიანურდა. აქ მეოთხე თვეა, რაც შესაკეთებელია 3 ტრაქტორი, მაგრამ ეს სამუშაო დღემდე ჭიანურდება.

პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს მტს-ების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებას. ამ მხრივ რაიონის მტს-ებში დიდი მუშაობა არის გაწეული. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველთვის მთელი სერიოზულობით ეკიდებოდეს მტს-ების სათანადო კადრებით განმტკიცებას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. სამინისტრომ წნორის მტს-ის სახელოსნოს გამგედ გაგზავნა ისეთი მუშაკი, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე და არათუ ტრაქტორების დეტალებს, არამედ მარკებსაც არ იცნობდა. სახელოსნომ რემონტი იმიტომაც გააჭიანურა, რომ მისი გამგე ზ. ქავთარაძე, მართალია, ინჟინერ-ტექნოლოგია, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდება, არ იჩენს მონდომებას საქმის წინწასაწევად.

ტრაქტორები და სხვა იარაღ-მანქანები დაგვიანებით შეაკეთა ტიბაანის მტს-მაც.

უფრო ცუდი მდგომარეობაა თესლის მომარაგების მხრივ. არახელსაყრელი ამინდები რა შუაშია, როცა ულიანოვკის მტს-ის მომსახურე კოლმეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე არა აქვს მომზადებული სათესლე მასალა. სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში“ ახლა დაიძენენ ქერისა და კარტოფილის თესლს. მათ 60 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 10 ცენტნერი კარტოფილის თესლი აქვთ, ხოლო ქერის თესლი სულ არ გააჩნიათ. თესლის მომარაგებას გულგრილად მოეკიდნენ სოფელ მაღაროს „შრომის“ და ნუკრიანის „ლენინის ანდერძის“ სახელობის კოლმეურნეობებში.

შვრიისა და ქერის თესლი დიდი რაოდენობით აკლიათ ალაზნის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებს. რაიონში უფრო ცუდი მდგომარეობაა ბოსტნეულის თესლის მომზადების მხრივ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში აჭიანურებენ მზრალად ხნულის აოშვას, ხოლო ბევრ მათგანს სასუქების მინდვრად გატანაზე ჯერ არ უფიქრია. სოფლების ბოდბისხევის, ნუკრიანისა და მაღაროს კოლმეურნეობებს მინდვრად არ გაუტანიათ არც ერთი ტონა სასუქი.

საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენას რაიონში ცუდი ამინდებით ხსნიან. მაგრამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ეს არ არის. საგაზაფხულო სამუშაოები გაცილებით წინ წავიდოდა მტს-ის მუშაკები და კოლმეურნეობათა გამგეობები ხვნა-თესვას შერჩევითი წესით რომ ატარებდნენ.

არასაკმარისია მტს-ების სპეციალისტთა დახმარება კოლმეურნეობებისადმი. ისინი სისტემატურად არ დაიარებიან საკოლმეურნეო მინდვრებში იქ, სადაც საფუძველი ეყრება მიმდინარე წლის ხუნ მოსავალს. ნუთუ კიდევ გაგრძელდება ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოსავლიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი საქმისადმი?

ა. ზურაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის

სასკოლო მუშაობის გამოცდილების ერთიერთგაცვლა-გამოცდილებასთან დაკავშირებით, საქართველოს შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს და უკრაინის პედაგოგიურმა გაზეთებმა „სახალხო განათლებამ“ და „რადიანსკა ოსვიტამ“ გამოაქვეყნეს შემცველი გვერდები.

უკრაინის პედაგოგიური გაზეთის „რადიანსკა ოსვიტას“ შემცველ გვერდში, რომელიც ამის წინათ გამოაქვეყნა გაზეთმა „სახალხო განათლებამ“, დაბეჭდილია დროგობიჩის ოლქის ხოდოროვის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ფ. შკილის, ტერნოპოლის ოლქის სკალატის საშუალო სკოლის უკრაინული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვ. გლადკის, ლ. კრასნის, ს. მაისტრენკოს, ი. პანჩენკოს და სხვ. წერილები. უკრაინელი პედაგოგები ქართველ თანამოძმეებს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას რუსული ლიტერატურის სწავლების ზოგიერთ საკითხში, მოუთხრობენ ლიტერატურული კითხვის გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკაზე, თუ როგორ იყენებენ ისტორიის გაკვეთილს მოსწავლეთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის და სხვ.

13 მარტს უკრაინის პედაგოგიურმა გაზეთმა „რადიანსკა ოსვიტამ“ გამოაქვეყნა გაზეთ „სახალხო განათლების“ შემცველი გვერდი საერთო სათაურით „მზიური საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში“.

გაზეთში დაბეჭდილია საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ვ. ჯიბლაძის წერილი „ხალხთა დიდი დღესასწაული“, რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიული მეგობრობა. წერილი მკითხველს აცნობს აგრეთვე საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სახალხო განათლების დარგში და იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სკოლების მუშაობის გაუმჯობესებას.

გვერდში მოთავსებულია აგრეთვე ქ. თბილისის ქალთა მე-13 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის თ. მოსეშვილის წერილი „ისტორიის გაკვეთილზე“, შ. შენგელის ნარკვევი „მეგობრობის ფესვები“, ნ. ღვინეფაძის წერილი „გორი-კიევი“, რ. ანთაძის „პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში“, შ. მოსიძის „ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში“.

საქართველოს და უკრაინის პედაგოგიური გაზეთების ეს სასარგებლო ნაბიჯი იმის მკაფიო ილუსტრაციაა, რომ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი არა მარტო რუსი და უკრაინელი ხალხების დღესასწაულია, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულიც არის.

ახალი სასკოლო შენობა

ბათუმი. (საკ. კორ.). ე. ნინოშვილის სახელობის ბათუმის მესამე საშუალო სკოლას ამ დღეებში გადაეცა ახალი კაპიტალური შენობა, რომელიც აშენდა ძველი შენობის გვერდით. სკოლას ამჟამად აქვს კეთილმოწყობილი სასპორტო დარბაზი და კაბინეტები. კაბინეტები შევსებულია ახალი ხელსაწყოებითა და ინვენტარით.

სასოფლო-სამეურნეო ფილმების კინოფესტივალი

ვალენჯიხა. (საკ. კორ.). წარმატებით მიმდინარეობს ვალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ფესტივალი. კოლმეურნეები ეცნობიან სოფლის მეურნეობის ახალ მიღწევებს, აგრომეცნიერების წარმატებებს. ბევრ კოლმეურნეობაში უკვე უჩვენეს კინოსურათები: „ჩაის კულტურა“, „ტრაქტორების რემონტის მეთოდები“, „მიჩურინი“, „სოფლის მეურნეობა“ და სხვ.

საგჭოთა ქვეყანაში

გარდაქმნილი მხარე

ჩვენი სახელმწიფოს სამხრეთ-დასავლეთში, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და რუმინეთის საზღვარზე გადაჭიმულია ვიწრო ვაკე, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულა აღმოსავლეთ კარპატის მწვანე მთები. აქ არის ჩვენი სამშობლოს ყველაზე ახალგაზრდა ოლქი — იმიერკარპატის ოლქი, რომელსაც ბოლოს ეღირსა შეერთება საბჭოთა უკრაინასთან.

ხმაურით, სწრაფად მორბიან მდინარეები. ბალებში ჩაფლულ პატარა ქალაქებში დგას ოდესღაც მრისხანე ციხეთა ნანგრევები. მთის ვიწროები თითქოს ცნობისმოყვარე თვალთაგან მალავენ ულელტეხილებისაკენ მიმავალ გზებს, ვერხოვინის სოფლებსა და დაბებს. სოფლებს იქით ციცაბო სერებზე ყვითლად მოჩანს მინდვრები, უფრო მაღლა — კარპატის ულრანი ტყეები, ხოლო კიდევ უფრო მაღლა, ზედ ცის კიდურთან — ალპური მდელოები, სადაც კარპატელი მწყემსები საკოლმეურნეო ჯოგებს აძოვებენ.

მწარე და მამაცურია ამ მხარის მხვნელ-მთესველთა, ტყის მჭრელთა, მამაც მეტიველთა, ოსტატ მეავეჯთა და მაჩიოლის მაღაროელთა მხარის ისტორია.

მრავალი საუკუნის წინათ ამ სლავურ მხარეში შეიჭრნენ მომთაბარეები. ახლანდელი იმიერკარპატელი უკრაინელების წინაპრები მკერდით იცავდნენ თავდამსხმელთაგან თავიანთ სამშობლოს. და თუ სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მომთაბარეებმა შეძლეს დაეპყროთ მიწა-წყალი, მათ ვერ დაიმორჩილეს ადამიანები.

ათასი წელი გავიდა მას შემდეგ — ეს ისტორიისათვის მცირე დრო როდია. რამდენი სამეფო გაჩნდა და გაქამტვერდა ათას წელიწადში, რამდენი ხალხი გაქრა ამ ხანში პირისაგან მიწისა და თავისი ხსოვნა მხოლოდ მატიანეთა ფურცლებზე დატოვა. მაგრამ რუსი ტომის ამ მცირე ნაშთმა კარპატს გადალმა საუკუნეობით ტანჯვაში გამოატარა თავისი ენა, თავისი ზნე-ჩვეულება, თავისი ეროვნული თვითშეგნება და უდიდესი ერთგულება სამშობლოსადმი, რომლისგანაც მას უპირებდნენ ჩამოშორებას.

თავისუფლებისმოყვარე იმიერკარპატელ უკრაინელთა გზა თავისი დიად დედა-სამშობლოსთან შეერთებისათვის ბრძოლის გრძელი გზაა.

1944 წლის შემოდგომაზე განმათავისუფლებელმა საბჭოთა მეომრებმა, რომლებიც კარპატის მწვერვალებზე ავიდნენ, გახსნეს შლაგბაუმები, რომლებითაც გადაკეტილი იყო ულელტეხილებზე იმიერკარპატიდან აღმოსავლეთისაკენ მომავალი გზები. ახლა კვალიც აღარ დარჩა არც ამ შლაგბაუმებისაგან, არც რკინაბეტონის ნაგებობათაგან, რომლებიც ოდესღაც იცავდნენ მათს მისასვლელებს. მაგრამ ულელტეხილებთან დგას ობელისკები, რომლებიც იმიერკარპატის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების საფლავებზე ქვებით აღმართეს ვერხოვინელმა ტყისმჭრელებმა და კოლმეურნეებმა და რომლებსაც ისინი მოწიწებით იცავენ.

* * *

მაღალმთიანი რახოვის რაიონის მკვიდრი ოლექსა ტაფიიჩუკის ცხოვრება ძალიან წააგავს ბევრი იმიერკარპატელის ცხოვრებას. რვიდან თხუთმეტ წლამდე იგი მოჯამაგირედ იყო თავის სოფელში. შემდეგ ოლექსა გაჭირვების გამო საშოვარზე წავიდა მშობლიური მხარის სხვა ოლქებში. ათასობით იყო ასეთი „ბედნიერების მაძიებელი“.

— ბედნიერება კი ის იყო, — მოიგონებდა ხოლმე შემდგომში ტაფიიჩუკი, — რომ შიმშილით არ მომკვდარიყავი.

ტაფიიჩუკი თავის თანამემამულეებთან ერთად ამერიკას გაემგზავრა საშოვარზე. მუშაობდა მეშახტედ, ტყის მჭრელად, მეღორედ, მტვირთავად.

ორმოც წელს რომ მიუახლოვდა, ტაფიიჩუკს თვალს დააკლდა და იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო. დაიწყო ჯოგის მწყემსვა, სანამ სრულიად არ დაბერმავდა. მოხუცდა მარტოხელა ბრძა ადამიანად, რომელიც იმით ცხოვრობდა, რასაც სხვები აწვდიდნენ.

განვლო დრომ, შეიცვალა ადამიანთა ცხოვრება, და აი ერთხელ რახოვის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის კრებაზე აღიძრა ასეთი საკითხი:

— ბევრი კარგი ცვლილება მოხდა ამჟამად, ამხანაგებო, — თქვა კრების დასასრულს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — მაგრამ გვაქვს შეცდომებიც, რომლებიც უნდა გამოვასწოროთ. აი, მაგალითად, ამხანაგო კოლმეურნეებო ტაფიიჩუკი. ჩვენ ხომ არც კი გვიფიქრია ამ მოხუცზე. შევეგჩვიეთ იმას, რომ იგი ბრძა არის. ხომ არ ვთხოვოთ ჩვენს საბჭოთა მედიცინას დახმარება გაუწიოს მას; იქნებ მან შეძლოს დაუბრუნოს მოხუცს მხედველობა, რომ მასაც უხაროდეს ცხოვრება, როგორც ჩვენ გვიხარია იგი.

ტაფიიჩუკი გამცილებელთან ერთად გაგზავნეს უჟგოროდში. მიიყვანეს საავადმყოფოში. ექიმებმა გადაწყვიტეს ოპერაცია გაეკეთებინათ მისთვის.

— მე ამ საავადმყოფოში უკვე ვიყავ ძველი რეჟიმის დროს, — ოთხრა ტაფიიჩუკმა ექიმებს. — მაშინ მიპასუხეს, რომ საჭიროა ევროპაში წახვიდე თვალების სამკურნალოდ. როგორ უნდა წავსულიყავ იქ — გზასაც ფული სჭირდებოდა და მკურნალობასაც. სად უნდა მეშოვნა ეს ფული.

რთული ოპერაცია დახელოვნებულმა ექიმებმა გაუკეთეს. და აი ერთ მზიან დილას პალატაში გაისმა თავდაჭერილი, მაგრამ დიდი სიხარულით აღსავსე შეძახილი:

— ვხედავ, ჩემო კეთილებო, ვხედავ!

ჯერ ტაფიიჩუკმა დაინახა მხოლოდ ექიმის თითები, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მან შეძლო დაეთვალიერებინა პალატა, მეზობლები, ხის ტოტები ფანჯარაში.

როცა მოხუცი საავადმყოფოდან გამოსწერეს, სანამ შინ დაბრუნდებოდა, წავიდა იმ ადგილებში, სადაც იგი ოდესღაც სამუშაოს ეძებდა. თითქოს ეშინოდა, რომ მხედველობა ცოტა ხნით დაუბრუნდა და იჩქაროდა აღებეჭდა ის ცვლილებანი, რომელთა შესახებ ლაპარაკობდნენ ადამიანები მის მშობლიურ სოფელში. ტაფიიჩუკი მიდიოდა იმ ადგილებში, რომლებიც მას მეხსიერებაში ჩარჩენოდა, და ვეღარ სცნობდა მათ.

იგი ადიოდა მთის ტყესაკაფებზე სადაც ოდესღაც ოფლსა ღვრიდა აუტანელი შრომით, და დიდხანს უყურებდა თურა ოსტატურად და სწრაფად ჭრიდნენ ახლა ვეებერთელა წიფლის ხეებს ტყისმჭრელები, შეირაღებულნი საოცარი მანქანებით, რომელთაც ელექტროხერხი ეწოდება. შედიოდა სოფლის სკოლებსა და კლუბებში, საკოლმეურნეო ფერმებში. ღამეს ათევდა სახლებში, სადაც შუაცეცხლს კი არ ანთებდნენ, არამედ საღამოობით ინთებოდა ელექტროსინათლე, სადაც მაგიდაზე სავახშმოდ დიასახლისებს მოჰქონდათ უკვე არა შვრიის ლავაში, არამედ სურნელოვანი ფუნჩულა პური.

მაღალი მთის სოფელ როსტოკში ტაფიიჩუკმა მოძებნა თავისი ძველი ნაცნობი სტეფანე კისი. ოდესღაც კისს ედგა ქოხი, რომელსაც ათი ბოძი ჰქონდა შეყენებული. ქვიანი მთის ფერდობზე იყო მიკრული მისი ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ასეთი იყო მთელი მეურნეობა, რომელიც ოჯახის ცხრა წევრს არჩენდა. წელში წყდებოდა სტეფანე კისი, მაგრამ რას გააწყობდა იგი ამ ერთ ნაგლეჯ მიწაზე? მოჯამაგირეობდა, ყოველგვარ სამუშაოს ჰკიდებდა ხელს, ოღონდ კი ოჯახი შიმშილით არ ამოწყვეტოდა.

ახლა კისის ახალი სახლი სოფლის ცენტრში იდგა, კარგი, ლამაზი, კრამიტის სახურავით. სრულიად კმაყოფილი ცხოვრობდა ის კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეებით. საღამოს კისი თავის მეუღლით კლუბში წავიდა, რათა კინოსურათი ენახა (იგი უნახავს არ ტოვებდა არც ერთ ფილმს). მან თან წაიყვანა ტაფიიჩუკი. აჩვენებდნენ ფილმს „ბოგდან ხმელნიცკის“ — პირველ ფილმს, რომელიც ნახა ტაფიიჩუკმა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

...განსაკუთრებით აკვირვებდა მოხუცს ტაფიიჩუკს ის, რომ სადაც უნდა წასულიყო, ვისთვისაც უნდა მიემართა შეკითხვებით, ყველანი სიამოვნებით უპასუხებდნენ, დაჰყავდათ იგი, აჩვენებდნენ, უხსნიდნენ ყველაფერს ისე, თითქოს იგი დიდი საპატიო სტუმარი ყოფილიყოს, რომლის წინაშე მასპინძლები იკვეხნიდნენ, რომ შეიძინეს ახალი ნივთები. ხოლო ახალი იმდენად ბევრი იყო, რომ მოხუცს თავბრუ ესხმოდა.

1936 წელს პრაღის ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელმაც მრავალი სტატია უძღვნა იმიერკარპატს, წერდა: „მე ვამტკიცებ, რომ 1936 წელს ევროპის ცენტრში არსებობს მიყრუებული კოლონია, და ეს მიყრუებული კოლონია კარპატისპირა რუსეთია. „ყველაფერი კაი-ტანონ ამ მხარიდან და არაფერი შეიტანონ ამ მხარეში!“—ასეთია იმათი დევიზი, ვისაც ხელში აქვს ჩაგდებული ამ მხარის სიმდიდრე. აქედან გააქვთ იაფი, ავაზაკურად მოჭრილი ხე-ტყე, გაჰყავთ იაფი პირუტყვი, გაჰყავთ იაფი მუშახელი, რომელიც სამუშაოს ვერ შოულობს მშობლიურ მიწაწყალზე. ასობით მოხელისა და კომერსანტის მოდერნული ვილები ვერ დამალავენ ათასობით ადამიანის გაჭირვებას. სოფლები იჯარით აქვთ აღებული მიკიტნებს. შვიდი სამიკიტნოა ერთ სოფელში და არც ერთი სკოლა ან საავადმყოფო მთელ ოლქში. მხარეში არ არის არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, არც ერთი თეატრი. არ არის არაფერი ისეთი, რასაც შეუძლია გააბათილოს ჩემი მტკიცება, რომ კარპატისპირა რუსეთი მიყრუებული კოლონიაა“.

ოლექსა ტაფიიჩუკს არ წაუკითხავს პრაღელი ჟურნალისტის ეს აღიარება. ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ცხოვრების სიმძიმის გრძნობდა ამ მიყრუებულ კოლონიაში. ახლა კი ის, რასაც უყურებს ახალილი თვალებით მოხუცი ადამიანი, სრულებით არა ჰგავს იმას, რასაც ოდესღაც წერდნენ გაზეთებში.

იმიერკარპატში დღეს აყვავებული სოციალისტური, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სატყეო, სატყეო-ქიმიური, ავეჯის, ქიმიური, სამკერვალო მრეწველობაა. აქ არის დიდი ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც აშენებულია კუსტარული, ფარდულებში მოთავსებული სახელოსნოების ადგილას. აქ არის ასობით ტრაქტორი, რაც მზრუნველმა სამშობლომ გამოუგზავნა იმიერკარპატის მხვნელ-მთესველებს, რომლებიც ამუშავებენ საკოლმეურნეო მინდვრების უკვე ნახევარზე მეტ ფართობს.

იმიერკარპატში დღეს არ არის მარტო საბჭოთა კავშირში სახელმოხვეჭილი მხატვრული ანსამბლი, რომელიც იმიერკარპატის მუშების ოქროს ხელებმა შექმნა. აქ არის ვალიკიე ლუჩეკის უნივერსალის ოსტატის სოციალისტური შრომის გმირის ანა ლადანის შრომა, აქ არის უჟგოროდის უნივერსიტეტი, რომელიც გაიხსნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, შვიდწლედები და ათწლედები ყველაზე დაშორებულ მთის სოფლებში, მუსიკალური სასწავლებლები რაიონულ ცენტრებში.

„დღეს თეატრებში“. ეს არის განცხადება 1954 წლის 17 თებერვლის გაზეთ „სოვეტსკოე ზაკარპატიეში“.

„უჟგოროდი. იმიერკარპატის უკრაინული სალექო დრამატული თეატრი — „ბოდიშს ვიხდი!“.

მუკაჩევო. მუკაჩევოს რუსული თეატრი: „საშიში თანამგზავრი“.

„სოლქო ფილარმონია — იმიერკარპატის სახალხო გუნდის კონცერტი“.

„ბუშტინო — საესტრადო ბრიგადის კონცერტი“.

„ირშავა — მუსიკალურ-ლიტერატურული ლექტორიუმის საღამო“.

განა ჰგავს საბჭოთა იმიერკარპატი იმ მიყრუებულ კოლონიას, რომელზეც ოდესღაც პრაღელი ჟურნალისტი წერდა?

* * *

რახოვის რაიონში, მშობლიურ სოფელში რომ დაბრუნდა ტაფიიჩუკმა მაშინვე ვერ უპასუხა გარშემოხვეულ ადამიანებს, სად იყო და რა ნახა. დაფიქრებული იდგა მოხუცი სოფლის მეედანზე და უცბათ, რამდენჯერმე დაჰკრა ფეხი მიწას და თითქოს სინჯავსო, იკითხა:

— ეს რომელ მიწაზე ვდგავარ, ხალხო?

მას უპასუხეს.

— ხომ არ გამოცვალეს?

— არა, კაცო, არ გამოუცვლიათ, იგი ხელახლა იშვა.

მათე ტეველიოვი.

ქალაქი უჟგოროდი.

წერილები რედაქციას

თავმჯდომარე მინის ნაკვეთს დახარბდა

ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას რამდენიმე წლის მანძილზე თავმჯდომარეობდა გ. ბიწაძე. როცა ის გაეცნო კოლმეურნეობის საქმიანობას, სახნავ-სათეს ფართობებს, ბაღ-ვენახებს, მასში თავი იჩინა წვრილმეწვრილმა მისწრაფებამ.

თავმჯდომარე განსაკუთრებით დახარბდა კოლმეურნეობის ერთ ნაკვეთს, სადაც ბაღი იყო გაშენებული. გ. ბიწაძემ გადაწყვიტა დაესაკუთრებინა ეს ნაკვეთი. გულისხმადები ახლო ნათესავს, რაიონის მიწათმომწყობ ვ. მაღლაკელიძეს გაანდო. ერთ მშვენიერ დღეს ამ ნაკვეთში თავი ამოჰყო გ. ბიწაძის მოძულებულმა ქოხმა. ამრიგად, ფართობის შეცვლის საბაბით თავმჯდომარე საუკეთესო ნაკვეთს დაეპატრონა.

ეოსალოდნელი იყო, რომ „ახალმოსახლე“ ახალ ადგილზე დაიწყებდა ცხოვრებას, მაგრამ მას ერთი ღამეც არ გაუთევია თავის ქოხში. ბოლოს ქოხი სულაც გაქრა იქიდან. თვითონ გ. ბიწაძე კი მშობლებთან ცხოვრობს, სახლიც აქვს და საკარმიდამოც, ხოლო ამ ნაკვეთს სახნავ-სათესად იყენებს.

შ. ტატიშვილი.

ნ. ქუმსიაშვილის საფლავის შესახებ

ცნობილი ქართველი მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილი დასაფლავებულია თიანეთის რაიონის სოფელ ორხევში. ნ. ქუმსიაშვილმა მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი ქართული საოპერო ხელოვნების განვითარების საქმეს მოახმარა.

სამწუხაროა, რომ დღეს მისი საფლავი უყურადღებოდ არის მიტოვებული და ნახევის ბერ მსურველს უჭირს მისი მიგნება. ნ. ქუმსიაშვილის გარდაცვალებიდან თერთმეტმა წელმა განვლო.

საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს ყურადღება.

ხ. ერაძემაშვილი,
ნ. გოგოჭური.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ბორჯომის რაიონის სოფელ რველის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის კლუბი სრულიად უგგემოდ არის აგებული. კლუბს არა აქვს სცენა, დამატებითი ოთახი კინოპარატისათვის, საკმაო სკამები. იმის გამო, რომ კლუბთან მისასვლელი გზა კეთილმოუწყობელია, წვიმის დროს შეუძლებელი ხდება კლუბით სარგებლობა, გვწერდა სოფლკორი ამბ. ვ. რველიშვილი. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანს.

როგორც რაიკომი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. რაიონულმა კომიტეტმა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას, ყვიბისის სასოფლო საბჭოს აღმასკომსა და რველის კოლმეურნეობის გამგეობას დაავალა კლუბის კეთილმოწყობისათვის სათანადო თანხების გამოყოფა. მიღებულია ზომები მიმდინარე წელს კლუბის კეთილმოწყობის დამთავრებისათვის.

ვარლამ ჟურული

სოფლის სუნთქვა

1. გაზაფხულის სტუმროგა

უუყუნა წვიმით დგება აპრილი
და ქვეყნად მოდის კვლავ გაზაფხული.
მალე იმწვანებს ხე ტანაყრილი,
ფოთოლს მოისხამს შტოდახატული.

სითბოს ამოჰყვა პირველი ია,
იას კი მოჰყვა ხის ყვავილობა;
ცას გადაეკრა ლაჟვარდი ღია,
დაიწყო მზის ქვეშ ფერთა ცილობა.

გამოღვიძება დაიწყო ვაშლის,
მაინც დაასწრეს ნუშის კვირტებმა,
ლამაზ თაიგულს ატამი გაშლის,
ტყემლის რტოები თეთრად ირთვება.

კვლავ აფრქვევს ვაზი კამკამა ცრემლებს,
ვაზფურცლობამდე იტირებს ლხენით.
დღეს მცენარეთა სიცოცხლის მცველებს
მწვანე სამოსით ხვდებიან ხენი.

ისევ გვესტუმრა ჩვენ გაზაფხული,
თან მოაქვს დღენი კვლავ დარიანი.
თესლს გააღვიძებს მიწა დახნული,
ნათესს მოიმკის ადამიანი.

2. მინდვრის ძახილი

ფოთოლს შეახებს გუგული ნისკარტს
და სულ იძახის: კაფე და თესე!
გმირო, წამოდექ, შეხედე ცისკარს,
გასწი, მინდვრისკენ გაქანდი დღესვე!

კვლავ გაატარე ტრამალზე ჩქარა
სტალინგრადული ფოლადის ხარი.
ტრაქტორო, წუთით დუმილიც კმარა,
გუგუნი — შენი სიმღერა არის.

გმირო, წინ გიდევს გზა მუდამ ფართო,
მკერდით ატარებ ლენინის ორდენს.
გმირო, ყამირი უნდა გაფატრო,
გმირს გამარჯვება ხნულიდან მოგდევს.

აქ იბიბინებს მწვანე ჯეიჯილი,
დაპურდება და იქცევა ყანად.
მიწა ნათხარი და აჩეჩილი
შრომას ივიწყებს ოდესმე განა?!

ისმის გუგულის კაფე და თესე,
და თუ ყურს უგდებ სულგანაბული,
გმირო, მინდვრისკენ გაქანდი დღესვე,
პურის სათესად გიხმობს მამული!

3. სიმინდის ფრიალი

სიმინდო, მრავალ ყამთა გამთელო,
პურთან ერთად ხარ ძვირფასი საზრდო.
შენ მუდამ გინდა, გამრჯე ქართველო,
შვიდტროვანი სიმინდიც ზარდო.

თანაბრად გვიყვარს გალი, მილარი,
ნატანები თუ ალაზნის ველი.
ვთესავთ მარცვლეულს სახემცინარი,
სასიხარულო ჭირნახულს ველით.

მიწას სწყურია ჩაგდება თესლის,
მიწა სიცოცხლით სუნთქავს და მღერის.
თესლს ნიადაგი მცენარედ შეცვლის,
თან გამოჰყვება ზურმუხტის ფერი.

მინდორს დანამავს წვიმა თუ არა,
სიმინდის ყანაც გადამწვანდება.
ნათესს მოიმკის, ვინც მოუარა,
სოფლის დოვლათი ზღვად დახვავდება.

მკლავისოდენა რომ ნახო ტარო
თავმოკაზმული ფერადი ფოჩით,
გეტყვის: ჩოქოლის მოვლილი ვარო,
ზრდას წიფობისთვის დამდეგში მოვრჩი.

ცა ცისარტყელის შუქმა გახია,
ეს ნიშანია: მოვა ბარაქა!
გალს გადაჰყურებს დღეს ქვაჩახია,
ფიქრი მინდორზე დაბანაკა.

მიწა ეძახის: თესლი მაღირსე,
მეც შევუსრულო ხალხს დავალება!
ვნახოთ სამშობლოს გამტყდარ ყამირზე
სიმინდის მძლავრი აშრიალება.

4. ჩაის ხავერდი

ზღვის ნაპირიდან მთას მივაჩერდი,
ვფიქრობდი — ალბათ, ზურმუხტი არის!
მკერდზე ეფინა მწვანე ხავერდი,
ჩანდა ხუჭუჭა ბუჩქების ჯარი.

მთას არსაიდან ეფარა ჩრდილი,
ბუჩქთან შავთვალა იდგა იმედად.
სხივზე ბზინავდა ფოთოლი ჩვილი,
გაზაფხულის მზე აციმციმებდა.

მთის სილამაზე თვალს იტაცებდა,
მწვავდა წარმტაცი ბუნების ცქერა,
და მეც ვიდექი იმ ვაჟკაცებთან,
ვინც ასე მორთო მშობელი კერა.

ვხედავდი ოდებს, ქვიტკირის სახლებს,
კრთოდა სარკმელთან შუქი ყვავილის,
ვიცი, გოგონა ყვავილს ხელს ახლებს
და ამ სიმღერით გზაზე ჩაივლის:

— ბუჩქო, ფოთლებით მარადნათელო,
შენ ხარ დოვლათის წყარო ულევი.
შორს ასახელე შენ საქართველო
ქართული ჩაის თაიგულებით!

5. ნარინჯის ბაღი

ყური დაუგდე! ეს რა ხმებია,
ეს სროლაა თუ მთის აფეთქება!
მთას ამონალი დასჯახებია,
საშვილიშვილო საქმე კეთდება.

რათ ზანზარებენ ხუცუბნის მთები
დაბლა დამხობილ ხეთა კრებულით?!
ყამირს შებმიან ძმები და დები
დღეს ბუნებასთან შერკინებული.

ჩეხენ, კაფავენ გაუვალ ბარდებს
და ჯაგნარები ქვეყნად ქრებიან,
ნარი წავა და მიწა ივარდებს,
ვარდი უეცლად ვის უკრეფია!

აქ გაშენდება ნარინჯის ბაღი,
ოქროსფრად იწყებს ნაყოფი ციმციმს.
ინათებს, თითქოს შტოზეა ჭაღი,
მზე აჩენს მწიფე ფორთობლის სიცილს.

საკრეფად მოვა დედა და შვილი —
გმირი ასმათი, გმირი გულიკო,
ეტყვის წალკოტი წინ გადაშლილი:
ვინ ნახა — შრომა დაკარგულიყო!

ვხედავ ხუცუბნის ხვალინდელ ნარინჯს,
მომავალ ფოთლის შრიალი მესმის.
კოლმეურნეთა ვაჟკაცური ნაბიჯს
უმღერის ჩემი პატარა ლექსიც.

6. ფერმის ეზოში

მიადგა ირმა მწვანე საძოვარს,
ძრობას ეამა ბალახი ლორთქო.
პატარა ხბოსაც ძუძუნაწოვარს
წასვლა სურდა და ბღავილი მორთო.

ენით ლოკავდა მშობელი დილით,
ახლაც სველი აქვს შუბლი და თეძო,
ახსოვდა ნიშას ალერსი ტკბილი
და საკუნტრუშოდ არ ეყო ეზო.

წინ ედგა თბილი საკმელი ქვაბით,
დახედა, პირი ძლივს მიაკარა.
არ აწუხებდმენ ბოსელში დაბმით,
ჩრდილში აწვენდა სიცხე თაკარა.

ირმა კი ამ დროს ნოყიერ ბალახს
ძოვდა, ცოხნიდა ცხრაწყაროს ახლოს.
ღელე ურეცხდა ჩლიქებზე ტალახს,
იქ, სადაც ძველი მეჯოგე სახლობს.

ფერმაში მოჰყვა მინდვრის სურნელი,
ათქვირებოდა რძისგან ცურები.
ხბო, დედამისს ნახვის მსურველი,
არ იღლებოდა გზისკენ ყურებით.

ჭიშკართან შეხვდა ნიშა ბღავილით,
ხბოს მუდამ უყვარს საღამოს ეს დრო.
ირმას მიართვეს კვლავ ქვამარილი,
და მოსაწველად შეუდგეს ვედრო.

რძე შხაპუნობდა, როგორც მთის წვიმა,
გვეკნება უხვად კარაქი, ერბო.
ჩვილი ტუჩებით ხბომ გაიღიმა,
როცა მას ძუძუს მოწოვა ერგო.

7. მევენახის გულისთქმა

ვკითხე წინანდლის ძველ მევენახეს —
თუ რატომ უყვარს ვაზი ქართული?
მითხრა: — ბადალი ვერსად ვერ ვნახე,
მისი მადლით ვარ წელგამართული.

ზვარი მეძახის ცისმარე დილით,
მივზედავ, ვიდრე სიცოცხლე შემწევს.
ვიდრე ჯანი მაქვს, თელიანს ვივლი,
ვახარებ ჩემი რქაწითლის ლერწებს.

ვაზს სიყვარულით სასუქს ჩავუყრი,
არც წყალს დავაკლებ, არც შაბიამანს,
მაღლა აწეულ რქასაც დავუხრი,
ულავაშს ჭიგოზე თვითონ მიაბამს.

ნაყოფს მოისხამს ოფლით ნაშენი,
მზე დააშაქრებს, დაატკბობს ყურძენს.
გვხიბლავს მტევნები დაბლა დაშვებით,
ამ სილამაზეს თვალი ვერ უძლებს.

ვენახში ბზუის ფუტკრის ლაშქარი,
როცა ახლოა ნამატრი რთველი.
მთელი ქვეყანა ფიქრით აქ არის,
მოდის დოვლათი ხიამის მგვრელი.

ყურძნის მოსავალს ვწურავთ წნეხებით,
დღეს და შუშხუნებს მაქრის მორევი...
ვაზს სიხარულით გადავეხვევით,
ვეტყვით სიმღერას განმეორებით.

რთველს აგვირგვინებს ხუფრა გაშლილი
და რომ გავიგო წინანდლის გემო,
მე — კოლმეურნე ვეფხვიაშვილი
შენ გადღეგრძელებ, სამშობლოვ ჩემო!

უიდეო პიესა და გულმავიწყი რეკომენდატორები

ჩვენს ხელთ არის ერთმოქმედებიანი „პიესა“. მის თხელ ყდას აწერია: „აკაკი დევიძე — „გულმავიწყი“. სატირა ერთ მოქმედებად.

გადავფურცლოთ „პიესა“. მეორე გვერდზე მოქმედ პირთა სიაა ჩამოთვლილი. ესენი არიან: პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სასოფლო კლუბის გამგე, სასოფლო საბჭოს მდივანი.

ყველაფერი რიგზეა, — იტყვის მკითხველი. ალბათ „პიესის“ ავტორს სურს აჩვენოს საკოლმეურნეო ცხოვრება, ახალი ადამიანები, მათი მისწრაფებანი, მკაცრად გააკრიტიკოს ნაკლოვანებანიც.

სამწუხაროდ, ასეთი მიზნებისაგან შორს არის ერთმოქმედებიანი სატირა „გულმავიწყი“. „პიესა“ ასე იწყება: სოფლად ჩამოდის პარტიის რაიკომის მდივანი ბონდო, რომელსაც აინტერესებს დამზადების საკითხი. რაიკომის მდივანს შემთხვევით შეხვდება კლუბის გამგე ლუდოვიკი. იმის ნათესაყოფად, თუ მხატვრულად რამდენად უსუსური, იდეურად მახინჯია ეს „პიესა“, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ამონაწერს:

„ლუდოვიკი: (რაიკომის მდივანს) რაიკომიდან ხართ მომაგებული ხომ?

ბონდო: (დაიბნა და არეული პასუხი გასცა) დიახ... რაიკომიდან ვარ.

ლუდოვიკი: ალბათ დამზადების საკითხებთან დაკავშირებით არა?

ბონდო: ასე ვთქვათ. როგორ არის საქმე ამ მხრივ აქ?

ლუდოვიკი: აი ესეც არის კვერცხის დამზადების გეგმა შეკასრულეთ, ასე რომ თქვენ ტყვილა შეგიწუხებიათ თავი.

ბონდო: ძალიან კარგი.

ლუდოვიკი: ახლა კვერცხს არ იკითხავთ როგორია? შეხედეთ, შეხედეთ (ამოალაგებს) ბატის კვერცხებს არა გავს? ოფ, ოფ, წამალდ რომ გინდოდეს ამდენ კვერცხებში ერთ ლაყე კვერცხს ვერ ამოვნთ. ყველა ახალია, აბა გალანდეთ!..

ბონდო: (ზის სინათლეზე გალანდავს რამდენიმე კვერცხს. ერთი ცალი ხელიდან გაუვარდება, ტანსაცმელი გაესვრება) ფუი, ღმერთმა დასწყევლოს, დასვრა აკლია ჩემს ტანისამოსს?

ლუდოვიკი: ასეა ბატონო, დამზადების საქმემ ვინმე არ გასვაროს არ შეიძლება“. (ავტორის სტილი დაცულია).

მოყვანილი დიალოგი ყველაზე უფრო „ზომიერი“ ადგილია ამ „პიესაში“. სხვა დიალოგების ამოწერა პორნოგრაფიული და მორალურად მიუღებელი სიტყვების გამო მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

„პიესაში“ არც ერთი გმირი დადებითი არ არის. სამაგიეროდ ავტორს აღმოაჩნდა უხვი სალებავები იმისათვის, რომ დაემახინჯებინა სინამდვილე, შეეთითხნა უნიჭო კარიკატურა, მრუდე სარკეში ეჩვენებინა საკოლმეურნეო სოფლის სახე.

„პიესის“ ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს უაზრო დიალოგს, სადაც კლუბის გამგე თავის ბიოგრაფიას ადარებს საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეთექვსმეტის თავგადასავალს. ეს საკმაოდ გამოყენებული კლუბის გამგე, რომელსაც საქმისათვის თავი ვერ მოუბამს, ავტორის მხარდაჭერით სარგებლობს. იგი თავისი უცნაური შეკითხვებით (რომლებიც მხოლოდ მაყურებლის გასაცინებლად არის შეთხზული) იქამდე მიჰყავს ავტორს, რომ ამოწმებინებს პარტიის რაიკომის მდივნის თეორიულ მომზადებას, კულტურის დონეს... კიდევ მეტი. კლუბის გამგე მასხარად იგდებს, ამიბრუებს რაიონულ და სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს, სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობის გამგეობას.

ბუნებრივია, აკ. დევიძის პიესას მაყურებელი არა ჰყავს. ბევრმა კულტურის სახლმა „გულმავიწყი“ თავისი რეპერტუარიდან ამოიღო. მაგრამ იგი აქა-იქ კიდევ ბოგინობს...

ერთადერთი დადებითი მარცვალი ამ „პიესაში“ ის აღმოჩნდა, რომ გაკრიტიკებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც კლუბს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწყობად იყენებს. ეს კარგია, ასეთ კრიტიკას კოლმეურნეობის თავმჯდომარეებიც მიესალმებიან, მაგრამ ამავე დროს ხომ დააყენებენ კითხვას: კლუბების რეპერტუარში ისეთი „პიესების“ შეტანა, როგორიც არის აკ. დევიძის „გულმავიწყი“, ხელს შეუწყობს მასების კომუნისტურ აღზრდას?

არაფერს ვიტყოდით, რომ „სატირა“ „გულმავიწყს“ თანამგზავრებიც არა ჰყავდეს. სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს კულტურის სახლებისა და კლუბების დრამატული წრის წევრები რეპერტუარის სიღარიბის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ერთ და ორმოქმედებიანი პიესების წერას ხელი მოჰკიდეს ცნობილმა დრამატურგებმა, მაინც ვერ მოხერხდა ამ საქმიდან შემთხვევითი ადამიანების — „პიესის მკეთებლების“ ჩამოცილება. ცნობილია, რომ ამ შემთხვევით ადამიანებს ბევრჯერ ჩაუყენებიათ უხერხულ მდგომარეობაში კლუბები და კულტურის სახლები, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველო, ხალხური შემოქმედების სახლი.

რატომ არ გაიხსენეს ამ სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ეს უხერხულობანი, როცა ნებას აძლევდნენ აკ. დევიძის ამ უიდეო და მხატვრულად უბადრუკ სატირას. საინტერესოა, რატომ არიან ისინი ასეთი „გულმავიწყნი“?..

ბ. ეკალაძე

ბ. ლეონიძის ნაწარმოებები რუსულ, თათრულ და ყირგიზულ ენებზე

მოსკოვში „დეტგიზმა“ რუსულ ენაზე გამოსცა ბ. ლეონიძის ეპოპეა — „სტალინი — ბავშვობა და ყრმობა“, ნ. ტიხონოვის თარგმანი. ტირაჟია 100 ათასი ცალი.

ამას წინათ ეს პოემა თათრულ ენაზე გამოვიდა ქალაქ ყაზანში; იგი თარგმნა ცნობილმა თათარმა პოეტმა ნური არსლანოვმა.

ქალაქ ფრუნზეში ყირგიზულ ენაზე გამოიცა ბ. ლეონიძის ლექსების წიგნი, რომელშიც მოთავსებულია აგრეთვე პოემები „ბერზოულა“ და „ფორთოხალა“. წიგნს დართული აქვს ავტორის ბიოგრაფია. ლექსები ყირგიზულ ენაზე თარგმნა პოეტმა ა. ტოკტაკუნოვმა.

საერთაშორისო თემაზე

გენოციდი ამერიკაში

„ჩვენ უცილობლად მიგვაჩნია შემდეგი ჭეშმარიტებანი: რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად, რომ მათ თავიანთი შემოქმედის მიერ მინიჭებული აქვთ ზოგიერთი ხელშეუვალი უფლება, მათ შორის — სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ მისწრაფება...“ — ეს საზეიმო სიტყვები ჩაწერილია ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში — მათ პირველ კონსტიტუციურ აქტში.

„სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ მისწრაფება“... — რა მწარე ირონიად ჟღერს ეს სიტყვები დღევანდელ ამერიკაში.

ძნელია იპოვნო ისეთი ქვეყანა, სადაც არსებობდეს უფრო შეურიგებელი წინააღმდეგობანი კონსტიტუციაში აღნიშნულ ამ მოქალაქეობრივ უფლებებსა და სინამდვილეში არსებულ მდგომარეობას შორის.

რომ არაფერი ვთქვათ ნიუ-იორკის და ჩიკაგოს უმუშევართა არმიებზე, გაღატაკებულ ფერმერებზე, მთელ ქვეყანაში რომ დაეხეტებიან ბედნიერების საძებნელად, რომ არაფერი ვთქვათ პიტსბურგელ მეფოლადე ჯეიმს უოვერზე, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში სამუშაოს უშედეგოდ ძებნის შემდეგ სიცოცხლე მოისპო, მარტო ამერიკელი ზანგის ცხოვრებაც საკმარისია, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ შეერთებულ შტატებში პოლიციელის ხელკეტით დაკანონებულ ადამიანთა უუფლებობასა და სისხლიან ტერორზე.

თხუთმეტი მილიონი შავკანიანი — ეს პირდაპირი მსხვერპლია გენოციდისა, რაც თანამედროვე „ცხოვრების ამერიკული წესის“ განუყოფელ ატრიბუტად იქცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული კონვენცია გენოციდს განსაზღვრავს არა მარტო როგორც რასობრივ ნიადაგზე ჩადენილ ყოველგვარ მკვლელობას, არამედ გარკვეული ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის ყოველ განზრახვასაც.

ამერიკული ცხოვრების პრაქტიკა გვიჩვენებს ამ შემაძრწუნებელი დანაშაულის მთელ საშინელებას, რაც მიმართულია კაცობრიობის და, უწინარეს ყოვლისა, თვით ამერიკელი ხალხის საარსებო უფლებების წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებში რასობრივ ნიადაგზე განხორციელებული გენოციდი სულ უფრო კატასტროფულ ხასიათს იღებს.

ზანგს უფლება არა აქვს სვას და ჭამოს თეთრკანიანის თანდასწრებით, აკრძალული აქვს ხელის ჩამორთმევით მიესალმოს თეთრკანიან ქალს, თეთრკანიანთან საუბრის დროს ზანგმა არასდროს არ უნდა გამოთქვას მისი საწინააღმდეგო აზრი.

თუ ზანგმა თეთრკანიანს არ უწოდა „სერ“, ან არ მოუხადა ქუდი, ან დროზე ვერ დაუთმო გზა, ამ უკანასკნელს შეუძლია მოჰკლას იგი და ამისათვის პასუხს არავინ მოსთხოვს, ხოლო თუ მან მოისურვა არჩევნებში მონაწილეობის მიღება ან სხვა მოქალაქეობრივი უფლების განხორციელება, რომელიც ფორმალურად არის გარანტირებული შეერთებული შტატების კონსტიტუციით, შეუძლიათ მას „თეთრკანიანი ქალის გაუპატიურება“ დასწამონ და დასვან ელექტროსკამზე, ან თოკით ჩამოკიდონ ხეზე.

„ზანგი უკვე იმაშია დამნაშავე, რომ ის შავკანიანად დაიბადა“, — ეს ამერიკულად გადამღერებული ჰიტლერული დევიზი დიდი პოპულარობით სარგებლობს სინდისგარეცხილი საქმოსნებისა და მათი მარionეტების მიერ ცამდე აყვანილ „ცივილიზებულ სამყაროში“.

ამას წინათ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ციხიდან განთავისუფლებულ იქნა მოქალაქე ფორესტ ვეინი. ამ კაცმა 25 წელი დაჰყო საპყრობილეში, სანამ გამოარკვევდნენ, რომ მისთვის წარდგენილი ბრალდება ყალბი იყო. ფორესტ ვეინს, შეიძლება ითქვას, „იღბალი ჰქონია“ — ვინ იცის რამდენ შავკანიანს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი ასეთივე ყალბი ბრალდების საფუძველზე!

ზანგის ცხოვრება შეერთებულ შტატებში ამერიკული ცხოვრების ტრაგედიაა, და იგი მით უფრო შემაძრწუნებელია, რამდენადაც სისტემატურ ხასიათს ატარებს.

შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ლინჩის წესით მრავალ ზანგს ჰკლავენ. ჩვეულებისამებრ, მკვლელები კუ-კლუკს-კლანიდან, „ამერიკული ლეგიონიდან“ და სხვა ფაშისტური ორგანიზაციებიდან მართლდებიან ან უმნიშვნელო თანხით ჯარიმდებიან.

მაგალითად, ქ. ტამპაში (ფლორიდის შტატი) ზანგი ხოზი ალენი მოკლეს იმისათვის, რომ მან სასაუზმეში ერთი ჭიქა ლუდი მოითხოვა. სასაუზმეს პატრონმა ვიქტორ პინელამ განაცხადა: „მე ალენი იმიტომ მოვკალ, რომ საერთოდ ნებას არ ვაძლევ ზანგებს ჩემს სასაუზმეში შემოვიდნენ“. პინელა გაამართლეს.

ქ. კემპ-ჰილში (ალაბამას შტატი) ვინმე ალბერტ ჰიუიმ გააუპატიურა და შემდეგ მოკლა სამი ბავშვის დედა, 22 წლის ფეხმძიმე ზანგი ქალი მეი ნოისი. ამისათვის ჰიუი მხოლოდ დააჯარიმეს.

მონტგომერის საგრაფოში (ჯორჯიას შტატი) ცოლისა და შვილების თვალწინ მოკლულ იქნა 28 წლის ზანგი, ომის ვეტერანი ისაია ნიკსონი იმისათვის, რომ მან მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. მკვლელი მ. ჯონსონი სასამართლომ გაამართლა.

მსგავს მაგალითებს შეერთებულ შტატებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. მარტო ომისშემდგომ წლებში აქ ზანგების ლინჩის წესით დახოცვის 200-ზე მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მკვლელობებს სასამართლო ინსცენირების შემდეგ ან მკვლელობებს, რომელთა შესახებ არავითარი აქტი არ დგება და რომლებიც მოკლულთა ოჯახის წევრების გარდა არავისთვის არ არის ცხობილი.

წინათ ლინჩის წესით მკვლელობის „კლასიკური“ სამუალება გასანთლული თოკი იყო, ახლა იგი პოლიციელის ტყვიამ შეცვალა. „ეძებე, ვისთვის მოაქვს დანამაულს სარგებელი“, — ამბობს ძველი იურიდიული აქსიომა. ბევრი ამერიკელისათვის პოლიცია მთავრობის სიმონიმია, ყოველ შემთხვევაში მისი ყველაზე კონკრეტული განსახიერება, ხანგთა მკვლელობა კი, რომელიც შეერთებულ შტატებში პოლიციურ პრაქტიკად არის გადაქცეული, მთლიანად ასახავს ამერიკის მთავრობის პოლიტიკას.

დისკრიმინაციის მთელი სისტემა, ზანგთა დაუსჯელად ქლეტის მომზადებას რომ წარმოადგენს, დამყარებულია „ზანგის თანდაყოლილი არასრულფასოვნობის“ თეზისზე, რომელიც თავისი რეაქციულობით ჰიტლერელ ავაზაკთა ბოდვასაც კი გადააჭარბა. ამიტომ არის, რომ ამერიკაში, განსაკუთრებით სამხრეთ შტატებში ზანგის მოკვლის შემდეგ ხშირად გაისმის პირუტყვული თვითკმაყოფილებით წარმოთქმული სიტყვები: „ზანგის მოკვლა ჩემთვის იგივეა, რაც ძაღლის მოკვლა“.

ქ. ატლანტის პოლიციელმა ე. ნეშმა, რომელმაც პოლიციელთა შორის ზანგების დახოცვის საოკეანო ციფრისათვის კუ-კლუკს-კლანისაგან ჯილდო მიიღო, იმედი გამოთქვა, რომ მას „ერთს არ მოუხდება სამხრეთის ყველა ზანგის გაკლეტა, მე ჩემი ძმების კუკლუკსკლანელების დახმარების იმედი მაქვს“.

რასისტული ორგანიზაციის „კოლუმბიელების“ მეთაურმა ჰომერ ლუის უმცროსმა იმავე ქალაქში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „ჩვენს რიგებში მივიღებთ მხოლოდ იმათ, ვინც მზად არის, რა დროც უნდა იყოს, გავიდეს ქუჩაში და მოკლას ზანგი ან ებრაელი“.

ნიღაბაფარებული და თეთრი ხალათებით გამოწყობილი ათასობით კუკლუკსკლანელი დათარეშობს დღეს შეერთებულ შტატებში. ისინი ხოცავენ შავკანიანებს, სცემენ, ძარცვავენ და წვავენ მათ. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები, არჩეულნი ეგრეთწოდებული დემოკრატიული გზით, მოწონებით შეჰყურებენ ყოველივე ამას. უფრო მეტიც, გულოდგინედ უწყობენ ხელს მკვლელებს ამ სისხლიან საქმეში.

ისტორია გვასწავლის, რომ ამერიკელ ხელისუფალთა რასობრივი „თეორიები“ და მათ მიერ რასობრივ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულობანი ამერიკელთა კერძო საქმე არ არის. ეს არის საკითხი, რომელიც კაცობრიობას ეხება.

სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეთა წინააღმდეგ ახორციელებს გენოციდს, შეეცდება ეს დანაშაული კიდევ უფრო მწვავე ფორმით დაამკვიდროს სხვა ქვეყნებში. რასობრივ ტერორს ქვეყნის შიგნით მოსდევს ფერადკანიანთა გაკლეტა მის საზღვრებს იქითაც. ერთსაც და მეორესაც საფუძვლად უდევს ადამიანის სიცოცხლის აბუჩად აგდება. ნაპალმის ბომბების გამოყენება კორეაში და ლინჩის წესით ცოცხლად დაწვა ამერიკაში ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მარტო იმით, რომ ორივე შემთხვევაში სიკვდილს ცეცხლი იწვევს, არამედ იმიტომაც, რომ მეატომე და ლინჩის წესით მკვლელი თავიანთი ბუნებით შეთვისებული არიან ერთმანეთთან.

ჰიტლერის შემაძრწუნებელმა ბოროტმოქმედებებმა, მიმართულმა თავდაპირველად ებრაელი ხალხის წინააღმდეგ, შემდეგში სისხლის მორევში ჩააგდო მსოფლიო, და აურაცხელი საფლავი, დასახიჩრებული სხეული და გაჩანაგებული რაიონი დატოვა.

ადამიანებს არ შეუძლიათ დაივიწყონ ჰიტლერის მაგალითი, რომელმაც ცხადყო, რომ ერთი ქვეყნის ფარგლებში განხორციელებული გენოციდი შეიძლება შემდეგში სხვა ქვეყნების მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტად გადაიზარდოს, რომ ასეთი დანაშაული უეჭველად გადაიქცევა ბევრად უფრო ფართო მასშტაბის დანაშაულად — ახალ იმპერიალისტურ ომად.

ამერიკის უბრალო ადამიანები, რაც დრო გადის, მით უფრო აშკარად გრძნობენ მათს ქვეყანაში არსებული გენოციდის დამღუპველ შედეგებს.

ამერიკის ქალაქების შავი გეტოებიდან და სამხრეთის ბამბის პლანტაციებიდან სულ უფრო მძლავრად გაისმის დამონებულ ადამიანთა რისხვითა და ბოღმით გამსჭვალული ხმა. იგი ღაღადებს რასობრივ ნიადაგზე გაღვივებული ტერორის შესახებ, აუტანელი სიღატაკის, ავადმყოფობისა და ნაადრევი სიკვდილის შესახებ, დამახინჯებული და გაუბედურებული ცხოვრების, უსამართლობის შესახებ.

შეერთებული შტატების უბრალო ადამიანებმა კარგად იციან, რით გამოიხატება ეს უსამართლობა. მილიონობით თეთრკანიანი ამერიკელი — მუშები და საშუალო ფენის ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც სამხრეთ შტატებში ცხოვრობენ და რომლებსაც ხშირად ზიზღით უწოდებენ „თეთრკანიან ღატაკებს“, თვითონვე ძლიერ იტანჯებიან ზანგების დისკრიმინაციის პოლიტიკით, რასაც მთავრობა ახორციელებს.

რასიზმი ხელსაყრელია შეერთებული შტატების მმართველი კლასებისათვის. იგი უზრუნველყოფს მონურ შრომას სამხრეთ პლანტაციებში, იაფ მუშახელს ჩრდილოეთის ქარხნებისათვის. მონათმფლობელური ზნეჩვეულებები უფლებას აძლევს პლანტაციების პატრონებს უმოწყალო ექსპლოატაცია გაუწიონ თეთრ „მოიჯარადრეებსაც“. ზანგების გვერდით შეიძლება ნახოთ ეგრეთწოდებული „თეთრკანიანი მონები“.

აი რატომ არის, რომ ამერიკელი ზანგების ბრძოლა ადამიანური ცხოვრებისათვის, თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის ასეთი მხარდაჭერითია და თანაგრძნობით სარგებლობს შეერთებული შტატების მილიონობით თეთრკანიან მშრომელს შორის.

ეს ბრძოლა ძლიერდება და სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებს. ამ დიად ბრძოლაში ადამიანის სიცოცხლისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ამერიკელი ხალხი მარტო არ არის. მასთან არის მთელი პროგრესული კაცობრიობა, მსოფლიოს მილიონობით თავისუფლებისმოყვარე ადამიანი, და ეს ბრძოლა არ შეძლება მისი გამარჯვებით არ დაგვირგვინდეს.

ა. კუსრაშვილი.

სოციალისტური ეკონომიკის მიღწევათა მკაფიო დადასტურება

უცხოეთის პრესა ფასების ახალი შემცირების შესახებ საბჭოთა კავშირში

მარშავა, 3 აპრილი. (საკდესი). პოლონური პრესა ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“.

საბჭოთა კავშირში ფასების ახალი შემცირება, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“, ნათლად მოწმობს საბჭოთა ადამიანების მიღწევებს მშვიდობიან მშენებლობაში. სოციალიზმის ძირითადი კანონის შესაბამისად საბჭოთა სახელმწიფო სულ უფრო სრულად და ყოველმხრივ აკმაყოფილებს მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს.

დადგენილება ფასების შემცირების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ფართო გამოხმაურებას პოულობს მთელ მსოფლიოში. მილიონობით ადამიანს საბჭოების ქვეყანაში ფასების მორიგი შემცირება დამაჯერებლად უჩვენებს სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით, სადაც ერთი მუჭა ექსპლოატატორი მონოპოლისტები უმუშევრობას, სიღატაკესა და შიმშილს განუმზადებენ მშრომელებს.

ბუქარესტი, 2 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „რომინია ლიბერა“ მოწინავე სტატიაში „სოციალისტური წყობილების ახალი გამარჯვება“, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირში ფასების ახალი შემცირებისადმი, წერს:

ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირში ფასების ახალი, სათვალავით მეშვიდე შემცირება ერთხელ კიდევ უაღრესად დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებენ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების პოლიტიკას. სსრ კავშირში ფასების მთელი რიგი თანმიმდევრული შემცირება იმის შედეგია, რომ საბჭოთა ადამიანები იბრძვიან წარმოების გადიდებისათვის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის ჰარმონიული განვითარებისათვის.

სოფია, 2 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ზემლედელსკო ზნამე“ წერს, რომ სსრ კავშირში ფასების ახალი შემცირება საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგია.

ჩვენს ხალხს, დასძენს გაზეთი, ახარებს საბჭოთა ხალხის გამარჯვება. საბჭოთა ხალხის მიერ კომუნიზმის გზაზე წინ გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი მშვიდობისა და დემოკრატიის გამარჯვების საწინდარია.

რომში ადენაუერის გამგზავრების გამო

რომი, 3 აპრილი. (საკდესი). ტურინის გაზეთი „სტამპა“ ბონიდან მიღებულ ცნობაში წერს, რომ „ადენაუერმა ვერ მოახერხა მიეღო იტალიის მთავრობის გარკვეული გარანტია, რომ რაც შეიძლება მალე დაამტკიცებს ხელშეკრულებას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის შესახებ“.

„ადენაუერმა, — აღნიშნავს გაზეთი, — შთაბეჭდილება გამოიტანა, რომ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია დაკავშირებულია აგრეთვე სიძნელეებთან რომში, ისევე როგორც პარიზში“.

ამერიკის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვისა კრახს განიცდის

ამ უკანასკნელი დროის ფაქტები მოწმობენ, რომ ძლიერდება ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების საქმიანი წრეების მისწრაფება—გაფართოონ ყველა ფაქტორად“. იგივე აზრი იყო ლეიბორტი-ვი მეტი წილი გამოსვლებისა სესიაზე, რომელმაც მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, მათ შორის რეზოლუცია ევროპის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის განვითარების კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

დასავლეთის საქმიანი ადამიანების გაზრდილი ინტერესი სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობისადმი იმით აიხსნება, რომ ამ ვაჭრობის შეზღუდვის ამერიკის პოლიტიკამ უდიდესი ზარალი მიაყენა ინგლისს, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს. ინგლისელი, ფრანგი და სხვა დასავლეთევროპელი მრეწველები კაპიტალისტურ ბაზარზე აწყდებიან ამერიკის შეერთებული შტატების გააფთრებულ კონკურენციას. შეერთებული შტატები ხელს უშლიან ინგლისისა და სხვა უცხო ქვეყნების საქონლის გასაღებას თავის საშინაო ბაზარზე და ამავე დროს ზღუდავენ ინგლისისა და თავისი სხვა პარტნიორების უფლებას — თავისუფლად ივაჭრონ დემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოებთან. საგარეო ვაჭრობაში დისკრიმინაციის ამერიკულმა პოლიტიკამ გამოიწვია ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის ექსპორტის მკვეთრი შემცირება, მათი საექსპორტო მრეწველობის მთელი რიგი დარგების შეკვეცა, უმუშევრობის ზრდა. მაგალითად, ამას წინათ ინგლისის გაზეთი „რეინოლდს ნიუსი“ წერდა, რომ, თუ სსრ კავშირში ექსპორტის შეზღუდვა არ გაუქმდა, უახლოესი წლის განმავლობაში წარმოიშობა სერიოზული უმუშევრობა ინგლისის გემთმშენებელ და მანქანათმშენებელ მრეწველობაში.

დისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ ვაჭრობის დარგში სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, მძიმე გავლენას ახდენს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე. ამავე დროს დემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოთა ეკონომიური ურთიერთობა, რაც თანასწორუფლებიანობისა და ძმური თანამშრომლობის საფუძვლებზე ვითარდება, განუწყვეტლივ ფართოვდება, ხელს უწყობს ამ სახელმწიფოების საერთო ეკონომიური აღმავლობას. სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მუდამ ცხადყოფენ, რომ მზად არიან გააფართოონ ვაჭრობა სხვა სახელმწიფოებთან. ამას უკვე ცოტა შედეგი როდი მოაქვს. შარშან სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ თითქმის ერთთოთხად გადააჭარბა ომამდელ დონეს. საბჭოთა კავშირი 1953 წელს ვაჭრობდა 51 ქვეყანასთან და წელს სავაჭრო შეთანხმებები დადო მსოფლიოს ბევრ სხვა სახელმწიფოსთან.

რეალური ეკონომიური ინტერესები დასავლეთის საქმიან ადამიანებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს უკარნახებენ გააფართოონ ვაჭრობა სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, აიძულებენ მათ სულ უფრო მტკიცედ დაუყენონ საკითხი, რომ მოისპოს შეზღუდვანი, რაც მათ თავს მოახვიეს შეერთებულმა შტატებმა. თებერვლის დამლევს ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია არსებითად შემცირდეს აღმოსავლეთთან ვაჭრობის შეზღუდვანი. 19 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება ინგლისის მთავრობისაგან მიიღო წერილი, რომელიც შეიცავს წინადადებას „საკმაოდ სერიოზულად გადასინჯოს“ იმ ეგრეთწოდებული „სტრატეგიული საქონლის“ სიები, რომელთა მიყიდვასაც დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებისათვის კრძალავენ შეერთებული შტატები. ასეთივე მოთხოვნა წამოაყენა საფრანგეთმაც. აღმოსავლეთთან ვაჭრობის შეზღუდვათა ლიკვიდაციას ან მკვეთრად შემცირებას გადაჭრით მოითხოვდნენ ინგლისის თემთა პალატაში 22 მარტის კამათის დროს.

ყველა ამ მოთხოვნის განსახილველად მარტის დამლევს ლონდონში გაიმართა ორ დღიანი თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის „საზღვარგარეთის ოპერაციათა სამმართველოს“ ხელმძღვანელი სტასენი, ინგლისის ვაჭრობის მინისტრი ტორნიკროფტი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი მორის შუმანი. საქმე ეხებოდა იმ საქონლის სიის შემცირებას, რომლის გატანაც „კომუნისტურ ქვეყნებში“ აკრძალულია. როგორც პრესა იუწყება, მოლაპარაკების დროს გამოვლინდა მკვეთრი უთანხმოებანი, ერთი მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მეორე მხრივ ინგლისსა და საფრანგეთს შორის. მაგრამ, როგორც სტასენისა და ტორნიკროფტის განცხადებებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყვნენ დაეთმოთ აღმოსავლეთთან ვაჭრობის გაფართოებისა და იმ საქონლის ასორტიმენტის გადიდების საკითხში, რომლის ექსპორტის ნებას ამერიკის შეერთებული შტატები რთავენ.

მაგრამ ინგლისის პარლამენტის თთელმა რიგმა წევრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს მოლაპარაკების შედეგების გამო. ერთი მათგანი, ლეიბორისტი მიკარდო გაზეთ „ტრიბუნაში“ წერს, რომ სტასენის ლონდონს გამგზავრების მიზანი იყო სურვილი — ხელი შეეშალა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის ვაჭრობისათვის. სტასენმა ინგლისის თთელ რიგ მინისტრებთან ერთად განიხილა არა მარტო აღმოსავლეთთან ვაჭრობის საკითხი, არამედ ის საკითხიც, რომ ამერიკამ ფინანსური „დახმარება“ გაუწიოს ინგლისს ახალ საფინანსო წელს. მიკარდოს ეს მიაჩნია სტასენის ვიზიტის ერთ-ერთ საყურადღებო მხარედ, „სტასენი, — წერს იგი, — აქ ჩამოვიდა იმისათვის, რომ ეთქვა ჩვენთვის: თუ თქვენ მეტად ფართოდ გამოიყენებთ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის შესაძლებლობებს, დაისჯებით იმით, რომ ნაკლებ დოლარებს მიიღებთო“.

ამრიგად, ინგლის-ამერიკის უთანხმოებანი საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის საკითხებში არ აღმოფხვრილა. ფაქტები ცხადყოფენ, რომ პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ და რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობას, სერიოზულ სიძნელეებს აწყდება. ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და დემოკრატიული ბანაკის სხვა ქვეყნებთან სულ უფრო ფართოდ ვითარდება, რამდენადაც ამას მოითხოვს ეკონომიური აუცილებლობა. სსრ კავშირს არ შეუძლია არ მიესალმოს ასეთ მდგომარეობას, რამდენადაც ვაჭრობის განვითარება ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებას, რაც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია.

ი. მაზოკრი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობა

ბერლინი, 2 აპრილი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო კამათის მსვლელობაში გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ე. მიუკენბერგერი. თავის სიტყვაში, რომელიც მიუძღვნა პარტიის მუშაობას სოფლად, იგი შეეხო მუშათა და გლეხთა კავშირის, როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული წყობილების საფუძვლის განმტკიცების ამოცანებს.

დელეგატმა ე. შტრაიხერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ მუშაობას კერძო საწარმოთა მუშებში.

ყრილობის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის პეტრე გორიოლას გამოჩენას ტრიბუნაზე. იგი ყრილობას მიესალმა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და გამარჯვება უსურვა რუმინელ და გერმანელ ხალხთა მეგობრობას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ლაიპციგის თეატრის დირიჟორს მაქს ბურგჰარდტს. მან ილაპარაკა კულტურის დაქვეითებაზე დასავლეთ გერმანიაში, დასავლეთგერმანელ ხელოვნების მუშაკთა მძიმე მდგომარეობაზე და აღნიშნა წარმატებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის განვითარებაში.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ სხდომაზე თავმჯდომარემ წაიკითხა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის მისალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობისადმი.

შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს. დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ოტო გროტეოლის სიტყვა. თავის სიტყვაში, რომელიც არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით, მან ანალიზი გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული სახელმწიფო აპარატის ამოცანებს. შემდეგ ო. გროტეოლმა აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასის, როგორც გერმანიის ისტორიაში პირველი მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს წამყვანი ძალის როლი.

რატომ აკრძალეს სირიაში საბჭოთა ფილმის „ბერლინის დაცემის“ ჩვენება

ქაირო, 3 აპრილი. (საკდესი). როგორც უკვე ეიუწყებოდით, სირიის ხელისუფლებამ აკრძალეს საბჭოთა ფილმის „ბერლინის დაცემის“ დემონსტრაცია. დამასკოს გაზეთმა „ალ-ჰადარამ“ 29 მარტს ამასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა წერილი სათაურით „რატომ აკრძალეს ფილმის „ბერლინის დაცემის“ ჩვენება“. იმიწმებს რა ადგილობრივ წყაროებს, გაზეთი იუწყება, რომ ფილმი აკრძალეს დასავლეთ გერმანიის მესაის მოთხოვნით. გაზეთი წერს, რომ „ცნობამ ფილმის აკრძალვის შესახებ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ყველა წრეში“. თუ ეს აკრძალვა, აღნიშნავს გაზეთი, მოხდა „დასავლეთ გერმანიის საამებლად“ ან „იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის“, იბადება კითხვა, რა აერთიანებს სირიას ამ სახელმწიფოებთან?

დასასრულ გაზეთი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ, მაშინ როცა კრძალავენ საბჭოთა ფილმს, რომელიც „გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს“ და „უჩვენებს მოქალაქეებს, რისთვის არის საჭირო მსხვერპლის გაღება“, ეკრანებზე აჩვენებენ ამერიკულ ფილმებს, რომლებიც აღვივებენ სიძულვილს ხალხებს შორის.

თბილისი

თბილისი. სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში. სურათზე: ო. სემიონოვა (მარცხნივ) და ე. კაკაბაძე თამაშის დროს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალი ჭადრაკში

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა მოჭადრაკე ქალთა ნახევარფინალური შეჯიბრების მეორე ტური სსრ კავშირის პირველობაზე.

თბილისელმა მოჭადრაკემ ხაჭაპურიძემ ლაზიერის მოგების მუქარით აიძულა ნაგელი გაეჩერებინა სათი. ამ მოგებით ხაჭაპურიძე ტურნირის ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

ლენინგრადელების სემიონოვასა და კარაევას შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით. ელისავეტგრადელ (მოსკოვი) წაიგო პარტია გურეინკელთან (დონის როსტოვი).

საინტერესოდ ვითამაშეს უკრაინის ხუთგზის ჩემპიონის კოგანის და შეკალინის (რსფსრ) პარტია, რომელიც გადაიდო. გადაიდო აგრეთვე ალფიეევსკაიასა (მოსკოვი) და გრიგორიევის (ბაქო), გოლბერგისა (კიევი) და ფილანოვსკაიას (სვერდლოვსკი) პარტიები.

დღეს შედგება მე-3 ტური.

ქსენია გოგიაშვა.

სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის

თბილი ამინდების დადგომასთან ერთად რესპუბლიკის დედაქალაქში ჩადგება მუშაობა საგაზაფხულო დასუფთავებისათვის. ამასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სანიტარულმა სამსახურმა მოაწყო თავისი მთავარი ექიმების, სანიტარულ-ჰიგიენურ ლაბორატორიათა გამგეების, ბაქტერიოლოგებისა და ეპიდემიოლოგების სამდღიანი სემინარი. სემინარის მიზანია მოსახლეობის აქტიური დახმარებით, კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებით მიღწეულ იქნას სანიმუშო სისუფთავე საწარმოებსა და დაწესებულებებში, ქუჩებში და მოედნებზე, ეზოებსა და პარკებში.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები სანიტარული წესრიგისა და კულტურის ამაღლების, ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის, სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის და სხვა თემებზე.

მსოფლიო პირველობაზე

გუშინ ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ბოტვინიკისა და სმისლოვის მატჩის მე-9 პარტია.

25-ე სვლაზე გაიმარჯვა სმისლოვმა ამრიგად, 9 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიში გახდა 5:4 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

მორიგი პარტია გაიმართება 6 აპრილს.

შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან

ამას წინათ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო ახალგაზრდა მწერლებს თ. ჯანგულაშვილს, ა. ვეფხიძეს, ნ. შამანაძეს, ზ. ბოლქვაძეს, მ. კახიძეს, ი. ბერიაშვილს, ნ. კილასონიას და სხვებს. ახალგაზრდა მწერლებმა მუშებს წაუკითხეს თავიანთი ნაწარმოებები. საკუთარი ლექსები წაიკითხეს მქსოველებმა ჟ. არათანაშვილმა, თ. კიკალიშვილმა და ნ. ელუაშვილმა. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ფაბრიკის მუშაკები ნ. ლეჟავა და თ. ჯაბუა.

ახალგაზრდა მწერლებმა დაათვალიერეს ფაბრიკის საამქროები, შრომის პროცესში ინახულეს მოწინავე მქსოველები და განაცხადეს, რომ დაწერენ ლექსებსა და მოთხრობებს ფეიქართა ცხოვრებიდან.

მომგებიანი ანაბრების მორიგი ტირაჟი

5 აპრილს თბილისის მასწავლებელთა სახლში გაიმართება საქართველოს შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მორიგი ტირაჟი. ყოველ ათას ანგარიშზე გათამაშებულ იქნება 25 მოგება. გასულ წელს მომგებიანი ანაბრების მოგებათა თანხა 700.000 მანეთს შეადგენდა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

1954 წ. 4 აპრილს, დღის 1 საათზე **საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების** ბინაზე (კეცხოველის ქ. № 11) მოწვეულია **საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება.**

დღის წესრიგი: 1. საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების მორიგი ყრილობის დელეგატების არჩევნები.

საზოგადოების წევრთა დასწრება აუცილებელია.

გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი.

ტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1. ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 14 აპრილს დღის 1 საათზე № 104 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მუხტარ ასლანის-ძე მერეტუკოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Семейный быт у абадзехов“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **ი. ცინცაძე,** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. გეგეშიძე.**

2. ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 15 აპრილს დღის 3 საათზე № 104 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ოთარ მიხეილის-ძე ქაჯაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მოხეური დიალექტი“** (ტ. 1: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა; ტ. II: ტექსტები).

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **ვლ. ფანჩვიძე,** დოცენტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ივ. იმნაიშვილი.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

4 აპრილს	დღის 12 საათზე ა. ანდრიაშვილი — **ჩხიკვთა ქორწილი** საღამოს ხ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი**
6 აპრილს	ჯ. ვერდი — **ტრავიატა**

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ნ. ბარათაშვილი (დილას), დიადი მომავლისათვის (საღამოს), მარჯანიშვილის **სახელობის** — გიორგი საკაძე, **გრიბოედოვის სახელობის** — ვაი ჭკუისაგან (დილას), ასი მილიონი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები (დილას), სასიძოები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (აბონემენტი № 4, დილას), მისი მეგობრები (აბონემენტი № 20, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ცხოვრების ფურცელი (10 ს.), სიღარიბე სძინახისი არ აროს (3 ს. 30 წ., 7 ს. 30 წ.), **სანიტარული კულტურის** — მცდარ გზაზე (დილას), საგზურები (საღამოს), **თოჯინების ქართული** — მშვიდობის ფრთებზე (11 ს.), ხაფანგში (2 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობის და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, გორკის სახელობის პარკი — საზღვარგარეთული მხატვრული ფილმი, **კომკავშირელი** — მზითვიანი ქორწილი, **კოლხიდა** — თქმულება ცომბირის მიწაზე, **კოლმეურნე, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — მარინეს ბედი.

სოფიო, ნინა, ტუფა, ვანო, მამია ზოდელავები შვილებით იუწყებიან სიძისა და ბიძის **ამბროსი სტეფანეს-ძე ძაძუას** გარდაცვალებას.

კირა, აკაკი აფხაზავები, ნინო, ვარლამ ძაგნიძეები, იასონ, გიორგი, ანდრო, ეკატერინე, თამარ, ილია სიორიძეები ოჯახებით იუწყებიან ბიცოლას ეკატერინა ოსიების **ასულ დმიტროჯგენიძის** გარდაცვალებას.

შვილები მარო, ვარია, გოგი, **რობერტი,** სიძე გეორონტა შვილებით ბუიღლიშვილები, **მულეკა** ასია და მანია იუწყებიან **სოფიო ივანეს ასულ გალეგოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IV, 8 ს. გამოსვენება 6-IV 6 ს. ართვინის ქ. № 42.

ბიძაშვილები ოლია, ჟენია, მარიამ, ბაცია, პაჭულია, პავლე ტყეშელაშვილები, სიძეები გრიგოლ ტატიშვილი, შალვა თავაძე, რძალი მარო ლოლაძე იუწყებიან **ეგულა ნესტორის ასულ ტყეშელაშვილი-შათირიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვარინკა მირიანაშვილი, შვილი თამარ, შვილიშვილი ნიკოლოზ შავიშვილები, რძლები ნინო, თამარ, ბიძაშვილი ვასო მთვარელიშვილი, ქვისლი გრიგოლ ხუნდაძე იუწყებიან **ესტატე მათეს-ძე მირიანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IV, 8 ს. გამოსვენება 6-IV, 6 ს. ანანურის ქ. № 6.

მეუღლე ნატაშა, შვილები კოტე, გუგული, შვილიშვილი დავით, ძმები კოსტა, შალვა ოჯახით, რძალი ეკატერინე იუწყებიან **დავით სპირიდონის-ძე გუნცაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IV, 8 ს. გამოსვენება 6-IV, 5½ ს. ნინოშვილის ქ. № 29.

მეუღლე დარიკო, შვილები გოგუცა, დაფია, ანდრო, სევერიანე, ემა, გიორგი, რძლები ცაცა, ოლია მალანიები, სიძე ალექსანდრე გაფრინდაშვილი შვილებით იუწყებიან **რომანოზ ლუკას-ძე მალანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-IV ს. ზანაფში (აბაშის რ.).

მეუღლე პაშა, შვილი აკაკი, რძალი რუსუდან, შვილიშვილი ირაკლი ძაძუები იუწყებიან **ამბროსი სტეფანეს-ძე ძაძუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IV, 8 ს. გამოსვენება 6-IV, 5 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 8.

სტალინის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები იუწყებიან **დავით ივანეს-ძე ვაშაკიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-IV, 2 ს. პლეხანოვის პროსპექტი № 114.

ძმა ვიქტორ, რძალი დარო, ძმისწული ანა, სიძე იოსებ გრიგოლაშვილი, ნინო, ვასო ურუშაძეები, ისაკ, ქსენია მიქაბაძეები იუწყებიან **ქსენია ვასილის ასულ დარჩიას** გარდაცვალებას.

შვილები ქეთო, ნინო, თამარ, მიხეილ, რძალი ცაცა, სიძე გ. ნაკაშიძე, შვილიშვილები ლალი, ცოტნე, ძმისწულები ალიოშა, ჭიჭიკო ოჯახებით იუწყებიან **არტემ გიგოს-ძე ნაკაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-IV, 8 ს. გამოსვენება 6-IV, 5 ს. კამოს ქ. № 105.

ძმა ადამ მეუღლით იუწყება **ნიკოლოზ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-IV, 3 ს. ჯანაშიას ქ. № 24.

მეუღლე ოლია, შვილები თამარ, ნინო ფირცხალავები, სიძე ვასილ სარდალიშვილი, შვილიშვილები ნელი, თემურ იუწყებიან **კალისტრატე ფირცხალავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-IV, 5 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, კიროვის II ჩიხი № 4.

სპორტის მიმოხილვა

მოსკოვი გაზაფხულის მოჯნაზე

კალენდარს ავახიეთ მორიგი ფურცელი, მარტი აპრილმა შეცვალა. გაზაფხულის მოჯნაზე დედაქალაქის სპორტულ ცხოვრებაში ბევრი ამბავი მოხდა. მარტი ფინალების თვე იყო.

„დინამოს“ სტადიონის ყინულის მოედანზე მოსკოველებმა ნახეს საბოლოო შეხვედრა „სსრ კავშირის თასზე“ რუსულ ჰოკეიში. ფინალისტები — დედაქალაქის დინამოელები და ხაბაროვსკის ოფიცრის სახლის გუნდი ღირსეული მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ. ერთი ბურთის უპირატესობით (2:1) გაიმარჯვეს დინამოელებმა, რომლებმაც მეთორმეტეჯერ მოიპოვეს საპატიო თასი.

დაძაბულად მიმდინარეობდა „სსრ კავშირის თასის“ პრეტენდენტთა ფინალური შეხვედრა შაიბიან ჰოკეიში. ორ დღეს იბრძოდნენ მისი მოპოვებისათვის საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის უძლიერესი ჰოკეისტები და სასპორტო საზოგადოება „კრილია სოვეტოვის“ გუნდი. ორივე კოლექტივის შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის მოთამაშეები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ მსოფლიო პირველობაზე. განმეორებითს შეხვედრაში გაიმარჯვეს არმიელმა ჰოკეისტებმა ანგარიშით 3:2.

უკანასკნელი შეჯიბრება „დინამოს“ სტადიონის ყინულის მოედანზე იყო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ნორჩ ფიგურისტთა ამხანაგური შეხვედრა. ფიგურული ციგურაობის ხელოვნებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. მეგობრობის ვალსით დამთავრდა ორი ქვეყნის ფიგურისტთა ეს საერთაშორისო შეჯიბრება.

მარტში გაიმართა აგრეთვე სხვა საერთაშორისო შეჯიბრებანი. დედაქალაქის ცირკის არენაზე სამ დღეს მიმდინარეობდა რუმინეთისა და სსრ კავშირის მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა. იგი დამთავრდა ანგარიშით 7:3 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

ორ-ორი ამხანაგური შეჯიბრება მოაწყეს მოსკოვში ბულგარეთის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა. საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა მოიგეს ორივე შეხვედრა. ვაჟებში პირველ დღეს გაიმარჯვეს ბულგარელებმა, მეორე დღეს — საბჭოთა კალათბურთელებმა.

ლენინის გორაზე გათამაშებულ იქნა ჩვენი ქვეყნის პირველობა თხილამურით ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში.

დიდად პოპულარულია მოსკოვში ჩოგბურთი. ამიტომ ასეთი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მოსკოველები ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ფინალურ შეხვედრებს ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში პირველობისათვის.

ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა ე. ჩუვარინამ პირველობა დაუთმო მოსკოველ ნ. ბელონენკოს. ვაჟთა ფინალში ს. ანდრეევმა (მოსკოვი) მოუგო ს. ფრიდლიანს (კიევი).

დახურულ კორტებზე გაიმართა აგრეთვე ნორჩ ჩოგბურთელთა შეჯიბრება. პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა, მეორე — ტალინის გუნდმა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები.

მაგრამ არა მარტო ამ საკავშირო შეჯიბრებებით აღინიშნა მარტი მოსკოვში. აქ გაიმართა ათობითი სხვა უაღრესად საინტერესო სასპორტო ღონისძიება. ყოველი დღე მდიდარი იყო შეჯიბრებებით. მაგალითად, 28 მარტს გაითამაშეს მოსკოვის პირველობა კალათბურთში უმაღლეს სასწავლებელთა გუნდებს შორის, აუზებში მიმდინარეობდა ახალგაზრდათა საქალაქთაშორისო შეჯიბრება წყალბურთში, წყალზე ხტომაში ქალი-შვილთა და ჭაბუკთათვის. ნეგბაყოფლობითი სასპორტო